20. Schwimmbeck P.L., Rohn G., Wrusch A., et al. Enterviral and Immune Mediated Myocarditis in SCID Mice // Herz, 2000, Vol. 25, No.3, p. 240-244.
21. Sukoyan G., Rogava M., Bochorishvili T., Tatulashvili D. the rational pharmacocorrection of the systemic inflammatory heart disease. Cardiology and Internal medicine. 2007; № 3-4: 64-71.
22. Bouma MG, van der Wildenberg FA, Buurman WA. The anti-inflammatory potential of adenosine in ischemia-reperfusion injury: established and putative beneficial actions of a retaliatory metabolite. Shock 1997;8:313-320.
23. Hornstein P.S., Zaugg C.E., Zhu P., Allegrini P.R., Buser P.T. Combined blockade of endothelin-1 and thromboxane A₂ receptors against postischaemic contractile dysfunction in rat hearts // British J. Pharmacol. 2001; 132:234-240.
24. Landmesser Ulf, Hornig B., Drexler H. Endothelial Function. A Critical Determinant in Atherosclerosis? Circulation. 2004; 109(suppl. II): II27-II33.
25. Torre-Amione G., Kapadia S., Benedict C. et al. Proinflammatory cytokine levels in patients with depressed left ventricular ejection fraction: a report from the studies of left ventricular dysfunction (SOLVD). J. Amer. Coll. Cardiology. – 1996. – Vol. 27. – P. 1201-1206.

ათეროსკლეროზის ზოგიერთი რისკ-ფაქტორი ძუძუს კიბოთი დაავადებულ ქალებში ესტროგენ-რეცეპტორების მნიშვნელობის გათვალისწინებით

ნ. ქებაძე, უ. გაბუნია*, ნ. კაკაურიძე**, დ. კორძაია*
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ალ. ნათიშვილის
ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტი*
აკად. ნ. ყიფშიძის სახ. თერაპიის ეროვნული ცენტრი***

ავთვისებიანი სიმსივნეები და ათეროსკლეროზის კლინიკური გამოვლინება – გულ-სისხლძარღვთა დაავადებები (გსდ) – წარმოადგენს სიკვდილობისა და ინვალიდობის წამყვან მიზეზებს დაავადებების რეგისტრში [1]. ძუძუს კიბო ქალთა სიმსივნეების ყველაზე ხშირი სახეობაა და ავთვისებიან სიმსივნეებს შორის სიკვდილობის ყველაზე ხშირი მიზეზია მსოფლიო მასშტაბით [4].

მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ წლებში აშშ-სა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში შეინიშნება ათეროსკლეროზით გამოწვეული ავადობისა და სიკვდილობის 15-20%-ით შემცირება [3], საქართველოში ოფიციალური სტატისტიკის თანახმად ეს მაჩვენებელი მატულობს. მეტიც, აღინიშნება ამ პათოლოგიის გაახალგაზრდავება და კლინიკური მიმდინარეობის დამძიმება [6]. ყველაზე უფრო ხშირად მისი მიზეზი ხდება იშემიური დაავადებების გართულებები, მათ შორის მიოკარდიუმის ინფარქტი და თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის მწვავე დარღვევები, რომელთაც საფუძვლად უდევთ პროგრესირებადი ათეროსკლეროზი, რომლის წამყვან პათოგენეზურ ფაქტორს წარმოადგენს ლიპიდური ცვლის დარღვევა [3].

ცნობილია, რომ ძუძუს კიბოზე მოქმედ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ლიპიდური სტატუსი, მისი იმუნურ სისტემასა და ესტროგენების პროდუქციაზე ზემოქმედების გამო [1,2]. სისხლის ლიპიდები და ლიპოპროტეინები იწვევს იმუნომარეგულირებელი ეფექტების ფორმირებას, ესტროგენების რეცეპტორულ შეკავშირებას სამიზნე ქსოვილებთან [4]. ამდენად, პრობლების მაღალი სოციალური მნიშვნელობის გამო კიბოსა და ათეროსკლეროზის საერთო პათოგენური მექანიზმების შესწავლა, პაციენტის ლიპიდური პროფილის დადგენა აქტუალურია ძუძუს კიბოს მართვაში.

ნაშრომის მიზანი: ძუძუს კიბოთი დაავადებულ ქალებში ესტროგენ-რეცეპტორების (ერ) სტატუსსა და ათეროგენულ რისკ-ფაქტორებს (ლიპიდური სპექტრი) შორის კავშირის დადგენა და გამოყენება ძუძუს კიბოს მეურნეობასა და პროფილაქტიკაში.

მასალა და მეთოდები: კვლევაში მონაწილეობას იღებდა 30 პაციენტი. კლინიკო-ლაბორატორიული გამოკვლევების საფუძველზე პაციენტები განაწილდნენ იყვნენ ორ ჯგუფში: ესტროგენ-დადებით (ერ,+“) – I ჯგუფი (პაციენტების რაოდენობა 16) და ესტროგენ-უარყოფით (ერ,-“) – II ჯგუფი (პაციენტების რაოდენობა 14). ყველა პაციენტი დაავადებული იყო ძუძუს კიბოს სხვადასხვა ფორმით.

ძუძუს კიბო დადასტურებული იყო ანამნეზით, კლინიკური მონაცემებით, მამოგრაფიული გამოკვლევით, მიღებული ჰისტოპათოლოგიური დიაგნოზით და, ზოგ შემთხვევაში, ბირთვულ-მაგნიტური რეზონანსითა და კომპიუტერული ტომოგრაფიით.

ყველა გამოსაკვლევ პირს აეღო სისხლი 12 საათიანი შიმშილის შემდეგ უზმოდ. ლიპიდური სპექტრის გამოკვლევა ხდებოდა სისხლის შრატში. სპექტროფოტომეტრით JANWAY-6400-ის გამოყენებით. საერთო ქოლესტერინი (სქ)-ის რაოდენობა განისაზღვრავნენ იმუნური მეთოდით (Cholesterol CHOD-PAP Kit. Code SFBC: E6, BIOLABO, France), ტრიგლიცერიდები (ტგ) – ენზიმიური მეთოდით (GPO Kit, Code SFBC: KO, BIOLABO, France), ხოლო მსლქ-ის დონის განსაზღვრა ხდებოდა დსლქ-ის და ძდსლქ-ის პრეციპიტაციის შემდეგ (HDL Cholesterol (Precipitant) SFBC Code: MI, BIOLABO, France). დსლქ-ის გამოთვლისათვის - Friedwald-ის (1972) ფორმულა: $დსლქ = სქ - (მსლქ + ძდლქ)$. ძდლქ განსაზღვრისაზღვრისათვის გამოვიყენეთ ფორმულა: $ტგ/5$ (mg/dl). ათეროგენობის ინდექსი (აი) ითვლებოდა ფორმულით: $(სქ - მსლქ)/მსლქ$ [3].

ერ სტატუსი განისაზღვრა ბასალიკის ლ.ს. მოდიფიცირებული მეთოდით [2]. 100-700 მკ გაყინული ბიოფსიური მასალა ქუცმაცდებოდა ფაიფურის ჭურჭელში, რომელშიც მოთავსებული იყო თხევადი აზოტი. შემდეგ ემატებოდა ბუფერი შეფარდებით 1:6 (tris- Cl ph 7.4- 10, edta-1,5 მმ, დიტოტრეიტოლი 0,5 მმ + 10% გლიცერინი). 5-10 წთ შემდეგ ექსტრაქციის შედეგად მიღებულ იქნა ჰომოგენატი, რომლის ცენტრიფუგირებით 105000 გ 1 სთ-ში მიიღებულ იქნა ციტოზოლი. ლოურის მეთოდით ციტოზოლის მეშვეობით განისაზღვრებოდა ცილა და მის მეშვეობით რეცეპტორები.

გამოკვლევის შედეგები შეტანილ იქნა Microsoft Office-ის Excell-ის სტატისტიკური პროგრამის მონაცემთა ბაზაში და დამუშავდა SPSS-11,5 პროგრამის სტატისტიკური პაკეტის გამოყენებით. მონაცემები წარმოდგენილია საშ. მნიშვნელობა ± სტანდარტული გადახრა (M±SD) სახით. რაოდენობრივი უწყვეტი სიდიდეების შეფასებისთვის გამოყენებულ იქნა სტიუდენტის t კრიტერიუმი. სარწმუნოების კოეფიციენტი განისაზღვრებოდა, როგორც $p < 0,05$. კორელაცია ტესტირდებოდა Pearson-ის მიხედვით. სარწმუნოება გამოითვლებოდა t-სტატისტიკით ორ სხვადასხვა საშუალოსთვის და F-სტატისტიკისთვის.

მიღებული შედეგები და განხილვა: გამოკვლევის დროს ჯგუფებს შორის ასაკობრივი სხვაობა სტატისტიკურად არ გამოვლენილა. I და II ჯგუფის მახვენებლების შედარებისას გამოვლინდა: სქ-169,1±21,6 და 190,9±48,4 ($p < 0,05$); დსლქ- 95±23,9 და 118,7±33,9 ($p < 0,03$); ძდსლქ- 28,0±5,9 და 33,6±7,6 ($p < 0,05$), და ტგ- 138,6±30,4 და 164,3±38,2 ($p < 0,05$) შორის სტატისტიკურად სარწმუნო განსხვავება (ცხ. №1), რაც ათეროგენული ლიპიდების მაღალი მახვენებლებითაა განპირობებული. რაც შეეხება მსლქ-ს მახვენებლებს, მათ შორის სტატისტიკურად სარწმუნო სხვაობა არ დაფიქსირებულა. აღნიშნული მიუთითებს ერ“-“ რეცეპტორების მქონე ჯგუფის სისხლის ლიპიდური სპექტრის ათეროგენულ ხასიათზე I ჯგუფის მონაცემებისგან განსხვავებით. რაც შეეხება ერ მახვენებლებს I ჯგუფში იგი მაღალია და სტატისტიკურად სარწმუნოდ განსხვავებული. ჩვენს მიერ მიღებული კვლევის შედეგები მსგავსია Essam A. Mady და თანაავტორების [4] ასევე Климов

A. H. და თანაავტორების [3] კვლევის შედეგებისა. ლიტერატურიდან მიღებულია, რომ მენოპაუზამდე გსდ შედარებით დაბალ სიხშირეს განაპირობებს ესტროგენების დაცვითი მოქმედება, რაც გამოიხატება მათი როლით ლიპიდების და ლიპოპროტეინების მეტაბოლიზმში: ესტროგენები ამცირებს დსლ-ქ დონეს და ზრდის მსლ-ქ დონეს. ამავე დროს, ლიტერატურიდან ცნობილია, ერ “+” სიმსივნეებისგან განსხვავებით, ერ “-” სიმსივნეების დროს არ ხდება ესტროგენების სამიზნე ქსოვილებთან შეკავშირება; ამ დროს ესტროგენებით მკურნალობა გარკვეულ შედეგს იძლევა და, სავარაუდოდ, საფიქრებელია მისი დადებით გავლენა ლიპიდების მეტაბოლიზმზე. ჩვენი კვლევის შედეგები ეთანხმება აღნიშნულ დასკვნებს, რადგან ერ”+“ ჯგუფისათვის დამახასიათებელია შედარებით დაბალი მაჩვენებლები ათეროგენული ლიპიდებისა. ამაზევე მეტყველებს I ჯგუფში გამოვლენილი უარყოფითი კორელაციური კავშირი ტგ და მსლქ ($r=0.617$, $p<0.05$) და ასევე უარყოფითი კორელაციური კავშირი მსლქ და ძდსლქ ($r=0.638$, $p<0.05$), შორის მიუხედავად ამ ჯგუფში ლიპიდების მაღალი მაჩვენებლებისა.

ცხრილი №1. ძუძუს კიბოთი დაავადებულ ქალთა ლიპიდური სპექტრის მაჩვენებლები ესტროგენ-სტატუსის გათვალისწინებით

ჯგუფი	ასაკი	სქ (მგ/დლ)	მსლქ (მგ/დლ)	დსლქ (მგ/დლ)	ძდსლქ (მგ/დლ)	ტგ (მგ/დლ)	აი	ერ ფმოლ/მგ
ერ „+“ =16	44,8 6,0	169,1 21,6	48,2 10,6	95., 23,9	28,0 5,9	138,6 30,4	3 0,9	32,1 15,2
ერ „-“ =14	49,2 7,8	190,9 48,4	48,4 10,4	118,7 33,9	33,6 7,6	164,3 38,2	3 1,25	7,9 3,2
P		$p<0,05$		$p<0,03$	$p<0,03$	$p<0,05$		$p<0,001$

შენიშვნა: სქ-საერთო ქოლესტერინი, მსლქ- მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების ქოლესტერინი, დსლქ-დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების ქოლესტერინი, ძდსლქ- ძალიან დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების ქოლესტერინი, ტგ-ტრიგლიცეროიდები, ერ-ესტროგენ რეცეპტორი.

დასკვნა: ესტროგენ უარყოფითი სტატუსის მქონე ქალებს აღენიშნებათ დსლქ და ტგ მაღალი მნიშვნელობები და, ამდენად, ათეროსკლეროზული დაავადებების მაღალი რისკი.

ამ კონტინგენტში შესაძლებელია ესტროგენებით მკურნალობა ათეროსკლეროზის პროფილაქტიკის მიზნით, ლიპიდურ პროფილზე ზემოქმედების გამო.

Several Risk Factors of the Atherosclerosis Among Women with Breast Cancer According to the Significance of Oestrogen Receptors

N. Kbadze, U.Gabunia*, N.Kakauridze**, D. Kordzaia**

Tbilisi A. Natishvili Institute of Experimental Morphology Georgian Academy of Sciences
Acad. N. Kipshidze National Center of Therapy- Clinical and Experimental Research Institute of Therapy***

Purpose: The purpose of this study is to establish of risk-factors of the atherosclerosis among women with breast cancer according to the significance of oestrogen-receptors.

Material and methods: We studied 30 patients (females) with breast cancer divided into 2 groups: oestrogen positive (ER+) and oestrogen negative (ER-).

The breast cancer diagnoses based on the results of history, clinical data, mammographic research, received hystopathological diagnoses and in some case magnetic resonance imaging and computed tomography.

Lipids are measured in serum on “Janway 4500” spectrophotometer. Enzyme methods are used for revealing of levels: total cholesterol (TC) (cholesterol CHOD-PAP Kit, Code SFBC:E6, BIOLABO,

France); Triglycerides (TG) (GPO Kit, Code SFBC: KO, BIOLABO, France). High density lipoprotein-cholesterol (HDL-C) after precipitation (HDL Cholesterol- Precipitant, SFBC Code:MI, BIOLABO, France). Atherogenic index (AI) and LDL-C by Friedwald are calculated. Oestrogen receptors (ER) status is evaluated by the immunohistochemistry method as a routine for all patients of breast cancer where paraffin blocks of the tumor (either primary or metastatic deposit) are available. Data achieved are processed statistically: $M \pm SD$ (M-mean, SD- standard deviation), Student- t test were used for the analysis of the data obtained for the groups. Statistical appearance are determined as $P < 0,05$. Correlations are tested according to the Pearson's correlation.

Results: Confidently difference of total cholesterol (TC), low density lipoprotein cholesterol (LDLC), very low density lipoprotein cholesterol (VLDC) and triglycerides (TG) are revealed between I and II groups ($P < 0,05$).

Conclusion: It could be concluded that TC, LDL, VLDL and TG are important risk-factors of atherosclerosis for women with breast cancer and it may confirm the possible role of lipids as risk -factor in breast cancer.

ლიტერატურა:

1. RvamiCava T., gordaZe n., da Tanaavt. // saqarTveloSi ZuZus kibos morfoepidemiologiuri gamokvleva 1997-2006 wlebSi. 2006, 3.
2. Бассалык Л. С. // “Рецепторы стероидных гормонов в опухолях человека”. Москва.1987.
3. Климов А. Н., Никулчева Н. Г. // “Липиды, липопротеиды и атеросклероз”. Питер Пресс.- 1995.
4. Key T. J., Verkasalo P. K., Banks E.: Epidemiology of breast cancer. Lancet Oncol. ;2(3):133-40, 2001
5. Essam A. Mady : The Journal of Steroid Biochemistry and Molecular Biology, Volume 75, Issues 4-5, 31 December 2000, Pages 323-328.
6. McPherson K., Steel C. M., Dixon J. M.: ABC of Breast Cancer. 321:624-8. BMJ 2000.

მხარ – თავის ღეროს კანულაცია აღმავალი აორტის პროთეზირების დროს

**ზ. ბახუტაშვილი, ზ. გოგინაშვილი, ლ. ბასილაძე
კ. ბერია, ლ. გურუშიძე, ე. პირველაშვილი
აკად. გ. ჩაფიძის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი**

საბიებო სიტყვები: კანულაცია, მხარ-თავის ღერო, ხელოვნური სისხლის მიმოქცევა.

შესავალი: გულმკერდის აორტის ქირურგიაში ხელოვნური სისხლის მიმოქცევის დასაწყებად ძალიან მნიშვნელოვანია არტერიული კანულაციისათვის ზუსტი ადგილის შერჩევა. არსებული პათოლოგიიდან გამომდინარე აღმავალი აორტის სტანდარტული კანულაცია ყოველთვის არ არის შესაძლებელი. მაგალითად მწვავე განშრევების ან ათეროსკლეროზის დროს. ასეთ შემთხვევაში ალტერნატიული მეთოდებია ლავიწქეშა, ილღის, ბარდაყის არტერიების, დისეცირებული აორტის პირდაპირი კანულაცია სელდინგერის მეთოდით ან მხარ-თავის ღეროს კანულაცია. ამ უკანასკნელის გარდა ყველა მიდგომა საჭიროებს დამატებით განაკვეთს, გარდა ამისა ბარდაყის არტერიის კანულაცია დაკავშირებულია რეტროგრადული (დაღმავალი აორტიდან) ცერებრული ემბოლიზაციისა და დისეცირებული ორმაგსანათურიანი აორტის შემთხვევაში, ორგანოთა ჰიპოპერფუზიის რისკთან. იღღის არტერიის კანულაცია უზრუნველყოფს ადექვატურ სისტემურ და

ცერებრულ პერფუზიას მხოლოდ ცირკულატორული არესტის შემთხვევაში, ასევე თანახლავს მხრის წნულის დაზიანების რისკი.

ამ სტატიაში განვიხილავთ ჩვენს ბოლოდროინდელ ქირურგიულ მიდგომას ამ საკითხთან, კერძოდ გულმკერდის აორტის ქირურგიის დროს მხარ-თავის ღეროს გამოყენებას არტერიული კანულაციისა და შემდგომი ხელოვნური სისხლის მიმოქცევის დამყარებისათვის. აღნიშნული მეთოდი აპრობირებულია სხვადასხვა ქირურგიის მიერ [1,5,9,10,11–14] და წარმატებით გამოიყენება.

პაციენტები და მეთოდები: მხარ-თავის ღეროს კანულაცია “აკად. გ. ჩაფიძის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრში” 2009 – 2010 წლებში განხორციელდა 5 პაციენტთან, რომელთაც წინასწარი კომპიუტერული კვლევის საფუძველზე დაუდასტურდათ აღმავალი აორტის განშრევაბადი ანევრიზმა (4 შემთხვევა) და აღმავალი აორტისა და აორტის რკალის მასიური კალციფიკაცია (1 შემთხვევა), რაც გამორიცხავდა სტანდარტული კანულაციის საშუალებას ცირკულატორული არესტის გარეშე. იმავე კომპიუტერულმა კვლევამ დაადასტურა კანულაციისათვის მხარ-თავის ღეროს გამოყენების შესაძლებლობა (დისექციის, კალციფიკაციის არარსებობა). არტერიული წნევის მონიტორირებისა და ზემო კიდურების ადექვატური პერფუზიის კონტროლის მიზნით პრეოპერაციულად ორივე სხივის არტერიაში სელდინგერის მეთოდით ჩაიდგა არტერიული კათეტერი (20 G). პაციენტი მოთავსდა საოპერაციო მაგიდაზე სტანდარტულ სუპინირებულ მდგომარეობაში. გაკეთდა შუა სტერნოტომია. შუასაყრის ცხიმოვანი ქსოვილი და თიშუსი გაიკვეთა ელექტრო დანით, შუასაყრის პლევრა ფრთხილად გამოიყო პერიკარდიუმისაგან. გაიხსნა პერიკარდიუმის დრუ. მოიძებნა მხარ-თავის ვენა, გამოიყო და დაიქაჩა ზონრებით, რომ გაადვილებულიყო მხარ-თავის ღეროს ექსპოზიცია. პალპაციით დადასტურდა მხარ-თავის ღეროში დისექციისა და ათეროსკლეროზული ფოლაქების არარსებობა და შემდგომ იგი ფრთხილად გამოიყო ირგვლივმდებარე ქსოვილებისაგან. კანულაციისათვის შეირჩა ადგილი მხარ-თავის ღეროს ბიფურკაციამდე აორტიდან მისი გამოსვლის 2 სმ-ით დისტალურად. არტერიის წინა ზედაპირზე 5-0 PROLENE-ს ძაფით (17 mm, Taper, Ethicon) დაედო ორმაგი ქისისებური ნაკერი. მხარ-თავის ღეროს ზომის მიხედვით შეირჩა 20–24 Fr წაკვეთილთავიანი არმირებული არტერიული კანულა (Wirewound Arterial Cannula – Medtronic). გაკეთდა კანულაცია. კანულის სიდრმე შეირჩა ისე, რომ კანულას მთლიანად არ დაეხშო არტერიის სანათური, ხოლო მიმართულება მიეცა წვერით აორტის რკალისკენ და დაფიქსირდა ტურნიკეტებით. კანულის ეს პოზიცია, როგორც ანტეგრადულ, ასევე რეტროგრადულ ნაკადს. მოხდა წინაგულის კანულაცია, დაიწყო ხელოვნური სისხლის მიმოქცევა, გადაჭერილ იქნა აორტა და ჩაიდგა სტენტი. ნელ-თბილი სისხლიანი კარდიოპლევია კეთდებოდა სელექტიურად კორონარულ სინუსებში 15-20 წუთში ერთხელ, ხელოვნური სისხლის მიმოქცევა მიმდინარეობდა ზომიერი ჰიპოთერმიის ფონზე (28°-32°C). განხორციელდა არსებული პათოლოგიის ქირურგიული კორექცია. დამაკმაყოფილებელი ჰემოსტაზისა და ნორმოთერმიის მიღწევის შემდეგ გაკეთდა დეკანულაცია. მხარ-თავის ღერო დაიხურა ქისისებური ნაკერებით.

შედეგები: მხარ-თავის ღეროს კანულაციის ხუთივე შემთხვევაში მიღწეულ იქნა ადექვატური ხელოვნური სისხლის მიმოქცევის ნაკადი. არ აღინიშნა კანულაციის ადგილთან დაკავშირებული გართულებები, ასევე ზემო კიდურების არასრული პერფუზია, რაც კონტროლდებოდა სხივის არტერიებში არსებული წნევით. დროებითი ნევროლოგიური დარღვევები გამოვლინდა 2 შემთხვევაში, პერმანენტულ ნევროლოგიურ დარღვევებს ადგილი არ ჰქონია, აღინიშნა ლეტალობის 1 შემთხვევა, რომლის გამომწვევი მიზეზი არ იყო დაკავშირებული კანულაციის ადგილთან.

განხილვა: მხარ-თავის ღეროს კანულაცია მოწოდებულია ძირითადად აორტის ბოლქვის, აღმავალი აორტისა და აორტის რკალის ქირურგიაში იმ შემთხვევებისათვის, როდესაც პათოლოგიური პროცესი არ იძლევა აღმავალი აორტის სტანდარტულად კანულაციის საშუალებას. ეს შემთხვევებია: 1. აღმავალი აორტის ანევრიზმა, 2. აორტის განშრევა (Stanford A ტიპი), 3. ე.წ. “ფაიფურის აორტა” და 4. კორონარულ სისხლძარღვებზე ან აორტაზე რეოპერაცია, როდესაც აორტა დაფარულია ტეფლონის სადებებითა და პლევრეტებით, ნაკერებით ან შუნტებით.

შემთხვევათა უმრავლესობაში აორტის დისექციის ან ანევრიზმის დროს მხარ-თავის ღერო თავისუფალია პათოლოგიური პროცესისაგან (დაზიანებისაგან), მაგრამ

კონტროლის მიზნით, ცრუ სანათურის კანულაციის თავიდან ასაცილებლად რეკომენდებულია კანულაცია ტრანსჰოფაგეალური ექოკარდიოგრაფიის კონტროლით.

აორტის ათეროსკლეროზული დაზიანების დროს, რომელიც, როგორც წესი ვრცელდება აგრეთვე რკალზე და მისგან გამომავალი მაგისტრალური სისხლძარღვების დასაწყის ნაწილზე, მხარ-თავის ღერო უმეტეს შემთხვევაში ინტაქტური რჩება, რაც პრეოპერაციულად შესაძლებელია კომპიუტერული ტომოგრაფიით დადასტურდეს.

მხარ-თავის ღეროს კანულაცია შესაძლებელია განხორციელდეს სტანდარტული შუა სტერნოტომიით, ამგვარად არ საჭიროებს დამატებით განაკვეთს, რომელიც აუცილებელია ლავიწკეშა, ილღისა და ბარძაყის არტერიების კანულაციისათვის, ამცირებს სისხლის დანაკარგსა და კანულის გადაადგილების საფრთხეს.

მხარ-თავის ღეროს კანულაცია შეიძლება პერიკარდიუმის ღრუს გახსნამდე, რაც უფრო უსაფრთხოს ხდის ხელოვნური სისხლის მიმოქცევის დამყარებას გახეთქილი აორტის შემთხვევაში.

კანულაციის ეს მეთოდი უზრუნველყოფს ანტეგრადულ ნაკადს, შესაბამისად დისტალური ორგანოების ადექვატურ პერფუზიას და ბარძაყის არტერიის კანულაციასთან შედარებით ამცირებს რეტროგრადული ცერებრული ემბოლიზაციის რისკს.

მხარ-თავის ღერო უფრო დიდი დიამეტრისაა, ვიდრე ილღის არტერია და შესაძლებელია მისი პირდაპირი კანულაცია, რაც თავიდან გვაცილებს კანულაციისათვის შუნტის საჭიროებას, აგრეთვე არ ახლავს თან ილღის არტერიის კანულაციისათვის დამახასიათებელი გართულებები, როგორებიცაა ზემო კიდურის არაადექვატური პერფუზია და მხრის წნულის დაზიანება.

ქირურგთა ნაწილი მიმართავს დისექცირებული აორტის პირდაპირ კანულაციას; მას თან ახლავს აორტის რუპტურის საშიშროება, ამასთანავე საჭიროებს ცირკულატორულ არესტს, რაც შეიძლება წარმატებით იქნას თავიდან აცილებული მხარ-თავის ღეროს გამოყენების საშუალებით.

მხარ-თავის ღეროს კანულაციის წინააღმდეგჩვენებებია მწვავე დისექცია და მასიური კალციფიკაცია, რომელმაც შეიძლება მნიშვნელოვნად გაზარდოს ცერებრული ემბოლიისა და არაადექვატური პერფუზიის რისკი. მიუხედავად იმისა, რომ ეს ორივე დაზიანება იშვიათია, მათი გამორიცხვა უნდა მოხდეს პრეოპერაციულად კომპიუტერული ტომოგრაფიის, ინტრაოპერაციულად ტრანსჰოფაგეალური ექოკარდიოგრაფიის მონაცემებზე დაყრდნობით და გადამოწმდეს არტერიის ნაზი პალპაციით.

მხარ-თავის ღეროს პირდაპირი კანულაციის სუსტ მხარეს წარმოადგენს კანულაციის ან დეკანულაციის დროს ტექნიკური პრობლემებით გამოწვეული სისხლდენის შეჩერება, ვინაიდან არტერიის მთლიანად გადაჭერა სახიფათოა მისი მნიშვნელობის გამო, ნაწილობრივ გადაჭერა კი მცირე დიამეტრის გამო შეუძლებელი.

დასკვნა: მხარ-თავის ღეროს კანულაცია წარმოადგენს მარტივ, სწრაფ, უსაფრთხო და ეფექტურ მეთოდს გულმკერდის აორტის ქირურგიაში, რომელიც უზრუნველყოფს ადექვატურ ანტეგრადულ ხელოვნური სისხლის მიმოქცევის ნაკადს. იგი გაცილებით ნაკლებ რისკთან და გართულებებთანაა დაკავშირებული, ვიდრე არტერიული კანულაციის სხვა სახეები და წარმატებით ჩაანაცვლა ისინი ჩვენი კლინიკის პრაქტიკაში.

Innominate Artery Cannulation for Ascending Aorta Replacement

*Z. Bakhutashvili, Z. Goginashvili, L. Basiladze, K. Beria, L. Gurushidze, E. Pirvelashvili
Acad. G. Chapidze Emergency Center of Cardiology*

Key words: cannulation, innominate artery, cardiopulmonary bypass.

Innominate artery cannulation is indicated mainly for surgery which involves aortic root, ascending aorta and aortic arch when pathology precludes standard cannulation of the ascending aorta. Thus, it can be used as the procedure of choice in cases of ascending aortic aneurysm, type A (Stanford) aortic dissection, porcelain aorta and reoperation for coronary or aortic surgery. Cannulation is performed through a standard median sternotomy, hence avoiding the complications of a second, additional incision.

It provides antegrade systemic and cerebral flow that is associated with improved distal organ perfusion and reduced rate of retrograde cerebral embolization compared to femoral arterial cannulation. Moreover, it eliminates potential complications from axillary artery cannulation, such as upper extremity malperfusion and brachial plexus injury. Innominate artery cannulation is contraindicated in cases of excessive calcification and acute dissection involving this artery.

In this review we present our experience with innominate artery cannulation for ascending aorta replacement.

Methods: During 2009-2010 at Emergency Cardiology Centre by Acad. G Chapidze 5 patients underwent ascending aortic surgery with innominate artery cannulation. Double purse string sutures were used for fixation. After starting cardiopulmonary bypass, recording both radial artery pressures was used to evaluate adequacy of CPB flow. According to type and localization of injury, an aortic valve and ascending aorta replacement, as well as aortic arch replacement and coronary artery bypass grafting were performed. An antegrade cerebral perfusion, warm cardioplegia and moderate hypothermia (28° - 32° C) were used to protect heart, brain and rest of the body. Results: Malperfusion - 0, hospital mortality - 1, temporary neurological dysfunction - 2, permanent neurological dysfunction - 0. Conclusion: Innominate artery cannulation is an easy and safe option for thoracic aortic surgery, in cases when ascending aortic cannulation is impossible or related with high risks of complications.

ლიტერატურა:

1. Banbury M.K., Cosgrove D.M., III Arterial cannulation of the innominate artery. *Ann Thorac Surg* 2000;69:957
2. Wareing T.H., Davila-Roman V.G., Barzilai B., Murphy S.F., Kouchoukos N.T. Management of the severely atherosclerotic ascending aorta during cardiac operations. *J Thorac Cardiovasc Surg* 1992;103:453-462
3. Strauch JT, Spielvogel D, Lauten A, Galla JD, Lansman SL, McMurtry K, et al. Technical advances in total aortic arch replacement. *Ann Thorac Surg* 2004;77:581-90
4. Schachner T, Laufer G, Vertacnik K, Bonaros N, Nagiller J, Bonatti J. Is the axillary artery a suitable cannulation site in aortic surgery? *J Cardiovasc Surg (Torino)* 2004;45:15-9.
5. Bhat AN, Bradley SM. Innominate artery cannulation for congenital heart disease. *Interact CardioVasc Thorac Surg* 2010;10:331-333
6. Crawford E.S., Svensson L.G., Coselli J.S., Safi H.J., Hess K.R. Surgical treatment of aneurysm and/or dissection of the ascending aorta, transverse aortic arch, and ascending aorta and transverse aortic arch. Factors influencing survival in 717 patients. *J Thorac Cardiovasc Surg* 1989;98:659-673.
7. Galloway A.C., Colvin S.B., LaMendola C.L., Hurwitz J.B., Baumann F.G., Harris L.J., Culliford A.T., Grossi E.A., Spencer F.C. Ten-year operative experience with 165 aneurysms of the ascending aorta and aortic arch. *Circulation* 1989;80:I249-I256
8. Kazui T., Kimura N., Yamada O., Komatsu S. Surgical outcome of aortic arch aneurysms using selective cerebral perfusion. *Ann Thorac Surg* 1994;57:904-911.
9. Coselli J.S., Buket S., Djukanovic B. Aortic arch operation: current treatment and results. *Ann Thorac Surg* 1995;59:19-26.
10. E. Prifti, M. Bonacchi (Italy) - Innominate artery cannulation in patients with severe porcelain aorta- 2001year
11. Di Eusanio M, Ciano M (Italy) - Cannulation of the innominate artery during surgery of the thoracic aorta: our experience in 55 patients.2004-2006 years
12. Chiu KM, Li SJ, Lin TY (China) - Innominate artery cannulation for aortic surgery -2007 year.
13. Corno, A.F. Pozzi, M. (China) - Safe Innominate Artery Cannulation for Cardiopulmonary Bypass in Neonates -2007 year
14. K. Anastasiadis, P. Antonitsis (Greece) - Innominate artery cannulation - 2008 year.

**ზო 20-ით (სიმვასტატინი 20 მგ) მკურნალობის
ეფექტურობისა და უსაფრთხოების შეფასება პაციენტებში
გულის იშემიური დაავადებით**

*გ.ჩაფიძე, ლ.რიგვავა, თ.ქავთარაძე, მ.შევარდნაძე, ლ.კოპალეიშვილი
აკად. გ.ჩაფიძის სახ. გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი*

გულის იშემიური დაავადება (გიდ) კვლავ რჩება მსოფლიოში ლეტალობის და ინვალდიზაციის უმთავრეს მიზეზად. სტატინების 20 წლიანმა გამოყენებამ აჩვენა მათი მაღალი ეფექტურობა გიდ-ს მქონე პაციენტებში. ფართომასშტაბიანი კვლევების - 4S, CARE, GREACE, WOSCOPS, AVERI, MMIRACL, WEST OF SCOTLAND PREVENTION STUDY), AFCAPS/TextCAPS [1,2,3] მონაცემებით - სტატინებით მონოთერაპია ამცირებს გიდ-ის ექსცესებს დაახლოებით 25-60%-ით, ხოლო უეცარი კორონარული სიკვდილის სიხშირეს 30%-ით. ევროპის კარდიოლოგთა ასოციაციის რეკომენდაციით სტატინები ინიშნება პაციენტებში გულის იშემიური დაავადებით. სტატინებით თერაპიისას მცირდება ცერებრული იშემიური ინსულტების და პერიფერიულ სისხლძარღვთა ათეროსკლეროზის სიხშირე და კორონარულ სისხლძარღვთა ანგიოპლასტიკისა და შუნტირების საჭიროება. სტატინების ანტიათეროგენული ეფექტი სისხლში დსღპ-ის ქოლესტეროლის კონცენტრაციის დაქვეითებასთან არის დაკავშირებული, ამასთანავე სტატინები მსღპ-ის ქოლესტეროლის კონცენტრაციის ზომიერმატებას და ტრიგლიცერიდების კონცენტრაციის რამდენადმე დაქვეითებასაც იწვევენ. აღნიშნულის გათვალისწინებით სტატინები, კერძოდ სიმვასტატინი, ათეროსკლეროზის პრევენციისა და მკურნალობაში ფართოდ გამოყენებად და ეფექტურ მედიკამენტთა ჯგუფს განეკუთვნებიან. დსღპ-ის ქოლესტეროლის კონცენტრაციის დაქვეითება ქოლესტეროლის დისლიპიდემიის კორექციის პარალელურად სიმვასტატინს ანტიათეროგენული სხვა ეფექტებიც გააჩნია, რაც პლეოტროპული ეფექტის სახელწოდებით არის ცნობილი [4]. ჰიპოლიპიდემიური მედიკამენტური თერაპიის აბსოლუტურ ჩვენებას კორონარულ, ცერებრულ, და/ან მაგისტრალურ სისხლძარღვთა ათეროსკლეროზი, ლიპიდური ცვლის გენეტიკური დარღვევები და შაქრიანი დიაბეტით დაავადებული პაციენტები წარმოადგენენ. ყველა სხვა შემთხვევაში ჰიპოლიპიდემიური მედიკამენტური თერაპიის ჩვენებას, პაციენტის რისკის კატეგორია და სისხლში დსღპ-ის ქოლესტეროლის სამიზნე მაჩვენებლები განსაზღვრავს. ლიპიდური ცვლის კორექცია ძვირადღირებული მკურნალობაა, რადგან გიდ პაციენტებმა იგი ხანგრძლივად, ფაქტიურად მთელი ცხოვრების განმავლობაში უნდა ჩაიტარონ. მაგრამ ეს ის შემთხვევაა, როდესაც მკურნალობის მიზნები სავსებით ამართლებს მასთან დაკავშირებულ ხარჯებს. ამჟამად ფარმაცევტულ ბაზარზე გამოჩნდა სტატინი-ჯენერიკები, რომლებიც ორიგინალურ პრეპარატებთან შედარებით გაცილებით იაფია, ერთ-ერთი ასეთი ჯენერიკი არის სამამულო წარმოების სიმვასტატინი (ზო-20, ფირმა GMP) ჩვენი ნაშრომის მიზანს წარმოადგენდა ზო-20-ის ეფექტურობის და უსაფრთხოების დადგენა გიდ-ის მქონე პაციენტებში.

მასალა და მეთოდები: კვლევაში ჩართვის მთავარ კრიტერიუმს წარმოადგენდა პაციენტები გიდ-ით, რომელთაც აღნიშნებოდათ სისხლში მომატებული ლიპიდური ცვლის მაჩვენებლები. ყველა პაციენტს უტარდებოდა ლიპიდური ცვლის დონის განსაზღვრა. მომატებული მაჩვენებლის შემთხვევაში პაციენტს ეძლეოდა ზო-20 12 კვირის განმავლობაში სადღეღამისო დოზით 20-40 მგ ჰიპერლიპიდემიის ხარისხის გათვალისწინებით.

კვლევაში ჩართული იყო 50 პაციენტი (41 მამაკაცი, 9 ქალი) პაციენტების საშუალო ასაკი იყო $65 \pm 12,3$ წელი. პაციენტებს შორის არ აღინიშნებოდა სარწმუნო სხაობა ანამნეზური მონაცემებით და თანმხლები დაავადებების მიხედვით. შემდგომი ვიზიტები ტარდებოდა 1 თვის და 2 თვის შემდეგ. აღნიშნულ ვიზიტებზე ხდებოდა ლიპიდური ცვლის კონტროლი და მედიკამენტის გვერდითი მოვლენების შეფასება. მონაცემების სტატისტიკური დამუშავებით დათვლილი იქნა მონაცემთა საშუალო მაჩვენებლები და სტანდარტული გადახრები, ჯგუფებს შორის სარწმუნოება გამოთვლილი იქნა student-ის ცხრილით.

მიღებული მაჩვენებლები სარწმუნოდ ითვლებოდა როცა $P < 0,05$. პირსონის კორელაციურ-მა ანალიზმა მოგვცა შემდეგი შედეგი, 95% ალბათობით გამოვლინდა სტატისტიკურად სარწმუნო სხვაობა.

გამოკვლევის შედეგები და განხილვა: ზო-20-ის გამოკვლევამ გამოავლინა მისი მაღალი ეფექტურობა კომბინირებული ჰიპერლიპიდემიის მკურნალობისას, ასევე დადგინდა იქნა პრეპარატის უსაფრთხოება გიდ მქონე პაციენტებში 20 და 40 მგ. დოზით მკურნალობისას 2 თვის განმავლობაში. გამოკვლევის პროცესში აღინიშნა საერთო ქოლესტერინის, დსლ-ის, ტრიგლიცერიდების დაქვეითება I და III ვიზიტს შორის მივიღეთ სარწმუნო სხვაობა ($P < 0,05$). მსლ-ის გაზრდის მხრივ არ დაფიქსირდა სარწმუნო სხვაობა, ასევე გამოთვლილი იქნა მონაცემთა საშ. მაჩვენებლები (იხ. ცხრილი 1)


ცხრილი №1: საშუალო მაჩვენებლები

მაჩვენებელი	I ვიზიტი	III ვიზიტი
T.CHOL	251	179
HDL-CHOL	47	58
LDL-CHOL	167	99
TG	231	178

ზო-20-ით მკურნალობისას საკვლევ ჯგუფში საერთო ქოლესტერინი შემცირდა 28%-ით ჯგუფებს შორის გამოვლინდა სტატისტიკურად სარწმუნო განსხვავება ($P < 0,05$), დსლ შემცირდა 40%-ით ჯგუფებს შორის გამოვლინდა სარწმუნო განსხვავება ($P < 0,05$). ტრიგლიცერიდები შემცირდა 22%-ით ($P < 0,05$). მსლ-ის დონის მომატების მხრივ ჯგუფებს შორის სარწმუნო განსხვავება არ გამოვლინდა. (იხ. გრაფიკი 1).

ზო-20-ის დოზირება: პირველი ვიზიტის შემდეგ ყველა პაციენტი იღებდა ზო-20-ს 20მგ სადღეღამისო დოზით. მეორე ვიზიტისათვის (მკურნალობის დაწყებიდან 1 თვეში) პაციენტთა 49,4% მიაღწია დსლ-ის სამიზნე დონეს 100 მგ/დლ და ნაკლები, შესაბამისად ზო-20-ის დოზა პაციენტთა ამ ჯგუფში არ შეცვლილა. პაციენტთა 50,6% მეორე ვიზიტისათვის სამიზნე დონე ვერ იქნა მიღწეული და ზო-20-ის დოზა გაიზარდა 40მგ-მდე. მესამე ვიზიტისათვის პაციენტების ამ ჯგუფშიც მიღწეულ იქნა დსლ-ის სამიზნე დონე.

გრაფიკი 1



დასკვნა:

1. ზო-20-ის (სიმვასტატინის) 12 კვირიანმა მკურნალობამ დოზით 20-40მგ. აჩვენა გამოხატული ჰიპოლიპიდემიური მოქმედება (საერთო ქოლესტერინი შემცირდა 28%-ით, დსლ-40%-ით, ტრიგლიცერიდები 22%-ით).
2. მკურნალობის განმავლობაში არ აღინიშნა წამლის გვერდითი ეფექტები, რის გამოც, არც ერთ შემთხვევაში არ გახდა აუცილებელი ზო-20-ის მოხსნა.

Efficacy and Safety of Zo 20 (Simvastatin 20 mg) in Patients with Ischemic Heart Disease

G. Chapidze, L. Rigvava, T. Kavtaradze, M. Shevardnadze, L. Kopaleishvili
Ac. G. Chapidze, Emergency Cardiology Center, Tbilisi, Georgia

The aim of the study was to assess the efficacy and safety of Zo 20, hypolipidemic drug, produced by “GM Pharmaceuticals”, Georgia, in patients with Ischemic Heart Disease (IHD) and dyslipidemia.

Methods: Totally 50 patients with documented IHD and dislipidemia were enrolled in this open label, prospective study. All patients were treated with 20-40 mg Zo 20 daily, in order to achieve study endpoint – LDL-C level < 100 mg/dl. Study visits were performed monthly, study duration was 3 months. Study drug efficacy and safety was monitored at each visit, performing full lipid panel laboratory test and assessing adverse events.

Results: 49,4 % of patients achieved LDL-C level < 100 mg/dl, receiving 20 mg Zo20 during 1 month, in all other patients the study drug dose was increased to 40 mg daily and finally 89,5% of study patients achieved LDL-C goal. Total Cholesterol level was decreased by 28%, LDL-C by 40% and Triglycerides by 22%. No adverse events were associated with study drug. All patients completed the study, receiving 20 or 40 mg Zo 20 daily.

Conclusion: Zo 20 is effective and safe in treatment of patients with IHD and dislipidemi.

ლიტერატურა:

1. Heart protection Study Collaborative Group. MRC-BHF heart protection study of cholesterol lowering with simvastatin in 20 536 high risk individuals: a randomized placebo-controlled trial. Lancet 2002, 360:7-22
2. Prevention of coronary heart disease in clinic practice. Recommendation of the second joint Task force of European and other Societies on coronary Prevantion. Eur Heart J 1998.
3. Randomised trial of cholesterol lowering in 4 4444 patients with coronary heart disease: the Scandinaviab Simvastatin Survival study. 1994.
4. Holme I “Lipid lowering in the patients at risk – the next decade of discovery” Br. S. Cardiol. 2000; 7:223-23.

ასპირინი: უნიკალური მედიკამენტის ახალი კლინიკური შესაძლებლობები

შ. ჭუმბურიძე

აკად. ნ. ყიფშიძის სახ. თერაპიის ეროვნული ცენტრი

ასპირინი უხსოვარი დროიდან გამოიყენება მედიცინაში. არქეოლოგიური დასკვნები ადასტურებს რომ ასპირინს 10000 წლის წინათ იყენებდნენ ძველ ეგვიპტეში. შემონახულია 5000 წლის წინანდელი პაპირუსი (პაპირუსი ატარებს გერმანელი ეგვიპტოლოგის ებერსის სახელს, რომელმაც ის 1800 წელს შეიძინა) რომელიც 877 რეცეპტს შეიცავს, რომელთაგან ერთ-ერთი სწორედ აცეტილ სალიცილის მჟავის გამოყენებასთან არის დაკავშირებული [1]. უფრო მოგვიანებით, ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-4 საუკუნეში, მედიცინის მამა, ჰიპოკრატე, იყენებდა ამ უკანასკნელს, როგორც ტკივილ დამაყუჩებელ და ცხელების საწინააღმდეგო საშუალებას. აღნიშნულ ნივთიერებას ჰიპოკრატე იღებდა ტირიფის ფოთლებიდან, და რასაკვირველია ასპირინს არ უწოდებდა. ჰიპოკრატე აღნიშნულ ნივთიერებას იყენებდა ორსულ ქალებში მშობიარობის ტკივილების დასაყუჩებლად [1,2]. პირველად მყარი და სუფთა აცეტილ სალიცილის მჟავა სინთეზირებული იქნა ქიმიკოს ფელიქს ჰოფმანის მიერ ბაიერის ლაბორატორიაში 1897 წელს. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ასპირინის წარმოებამ დაუდო დასაბამი თანამედროვე ფარმაცევტული ინდუსტრიის განვითარებას, რადგან სწორედ Friedrich Bayer & Company ითვლება პირველ ფარმაცევტულ კომპანიად მსოფლიოში; აღნიშნულმა კომპანიამ ასპირინის წარმოება დაიწყო 1899 წელს.



ასე გამოიყურებოდა ასპირინის პირველი ბოთლი.

1915 წლიდან ასპირინი მთელ მსოფლიოში ურეცეპტოდ იყიდება. მიუხედავად იმისა რომ აცეტილ სალიცილის მჟავა ჰიპოკრატეს დროიდან გამოიყენება მედიცინაში, ამ უკანასკნელის მოქმედების მექანიზმი საბოლოოდ მაინც არ არის გარკვეული; ყველაზე ფართოდ გავრცელებული მოსაზრების თანახმად ასპირინი ამცირებს სისხლში პროსტაგლანდინების შემცველობას ციკლოოქსიგენაზა-2-ის ინჰიბირების გზით. მაგრამ ასპირინი არ არის ციკლოოქსიგენაზა-2-ის კონკურენტული ანტაგონისტი, ის აინჰიბირებს აგრეთვე ციკლოოქსიგენაზა-1-ს და სწორედ ამ უკანასკნელს უკავშირდება კუჭ-ნაწლავის ტრაქტიდან სისხლდენების განვითარება (ასპირინის მოქმედების აღნიშნული მექანიზმის აღმოჩენისათვის ინგლისელმა ფარმაკოლოგმა John R. Vane-მა ნობელის პრემია მიიღო 1982 წელს) [3]. უკანასკნელ წლებში მეცნიერების მცდელობა შეექმნათ ახალი ანთების საწინააღმდეგო მედიკამენტები რომლებიც ამორჩევითად დათრგუნავდნენ მხოლოდ ციკლოოქსიგენაზა-2-ს წარუმატებლად დასრულდა.

კერძოდ, აღნიშნული ჯგუფის მედიკამენტებმა (Vioxx და Bextra) გამოიწვიეს მიოკარდიუმის ინფარქტისა და ინსულტის სიხშირის გაზრდა. აღნიშნული ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ მოსაზრებას, რომ ასპირინის დადებითი ეფექტები არ შეიძლება აიხსნას მხოლოდ მის მიერ პროსტაგლანდინების დათრგუნვის მექანიზმით. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ პირველად ქართველი მეცნიერის პროფესორ აკაკი გახოციძის მიერ იქნა სინთეზირებული ასპირინის ნაკლებად ტოქსიკური, წყალში ხსნადი ფორმა მონოასპირინგლუკოზის სახით [30].

პირველი რანდომიზებული კვლევა მიოკარდიუმის ინფარქტის დროს ასპირინის ეფექტურობის შესახებ ჩატარდა 1974 წელს.

1980 წელს FDA-ის მიერ ასპირინი მოწოდებული იქნა ინსულტის შემდგომ პერიოდში პაციენტთა სამკურნალოდ.

1985 წელს იმავე კომიტეტის გადაწყვეტილებით ასპირინის გამოყენება მიზანშეწონილად ჩაითვადა პაციენტებში გადატანილი მიოკარდიუმის ინფარქტით.

1996 წლიდან კი - მოსალოდნელი მიოკარდიუმის ინფარქტის თავიდან ასაცილებლად. ამჟამად ამერიკის შეერთებული შტატების მოზრდილი მოსახლეობის 36% ანუ 50 მლნ ადამიანი ყოველწლიურად იყენებს 10 დან 20 მლნ-მდე ასპირინის აბს.

გულ-სისხლძარღვთა სისტემის პროფილაქტიკისა და მკურნალობის თანამედროვე რეკომენდაციების თანახმად ასპირინის მიღება მოწოდებულია ყველა პაციენტისათვის რომლებიც შედიან მაღალი კარდიო-ვასკულური რისკის ჯგუფში [4,5,6,7,8,9,10,11].

მაღალი კარდიოვასკულური რისკის მქონე პაციენტები

აღნიშნულ ჯგუფს მიეკუთვნებიან პაციენტები:

- გადატანილი მიოკარდიუმის ინფარქტით.
- არასტაბილური სტენოკარდიით.
- პრინციპეტალის სტენოკარდიით.
- ხშირი დაძაბვის სტენოკარდიით.
- აორტო-კორონარული შუნტირების შემდეგ.
- ანგიოპლასტიკის შემდეგ.
- მძიმე გულის უკმარისობით.
- იშემიური ინსულტის შემდეგ.
- თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის გარდამავალი მოშლის შემდეგ.
- პერიფერიული არტერიების ათეროსკლეროზით.
- შაქრიანი დიაბეტით.
- არტერიული წნევის მაღალი ციფრებით.
- მეტაბოლური სინდრომით.
- დისლიპიდემიით.
- C-რეაქტიული ცილის მაღალი ციფრებით.

ასპირინის დოზირების საკითხი დღეისათვის კვლავ საკამათო თემათა რიცხვს მიეკუთვნება, თუმცა მეცნიერთა უმეტესობა ეთანხმება იმ მოსაზრებას რომ გვერდით ეფექტთა შემცირების მიზნით უმჯობესია ამ უკანასკნელის მცირე დოზით გამოყენება;

ნაკლებად არის ასევე შესწავლილი საკითხი 45 დან 65 წლის ასაკის ქალებში ასპირინის ეფექტურობის შესახებ; მაშინ როდესაც სარწმუნოდ არის დამტკიცებული რომ 65 წელს გადაცილებულ ქალთა პოპულაციაში ამ უკანასკნელის გამოყენება 26%-ით ამცირებს კარდიოვასკულარული გართულებების სიხშირეს;

გულ-სისხლძარღვთა დაავადებების რისკის შემცირების თვალსაზრისით ასპირინი 4 ჯერ უფრო ეფექტურია მამაკაცებში ქალებთან შედარებით; აღნიშნული განსხვავების მექანიზმი ჯერ-ჯერობით არ არის დადგენილი [8,9].

უკანასკნელი წლების გამოკვლევებზე დაყრდნობით კარდიოვასკულარული გართულებების თავიდან ასაცილებლად ოპტიმალურ დოზად არის მიჩნეული ასპირინის მცირე დოზები 75-81-100 მგ, შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ პაციენტებშიც კი - უფრო დიდი დოზების გამოყენება არ არის რეკომენდებული. ასპირინი 25%-ით ამცირებს მიოკარდიუმის ინფარქტის განვითარების სიხშირეს. მიოკარდიუმის ინფარქტის განვითარებიდან 24 საათის განმავლობაში ასპირინის მიღება 20%-ით ამცირებს ამ უკანასკნელით გამოწვეული სიკვდილის სიხშირეს. არასტაბილური სტენოკარდიის მქონე პაციენტებში ასპირინი 51%-ით ამცირებს სტენოკარდიის აღმოცენების სიხშირეს. იშემიური ინსულტის ან თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის გარდამავალი მოშლის შემდეგ ასპირინის ხანგრძლივი მიღება 37%-ით ამცირებს განმეორებითი გართულებების სიხშირეს [11]. ასპირინის მცირე დოზების მიღება 24%-ით ამცირებს ქალებში იშემიური ინსულტის განვითარების სიხშირეს (The Women's Health Initiative Study).

ასპირინზე ჩატარებული 20 გამოკვლევების რეტროსპექტიულმა ანალიზმა აჩვენა, რომ პაციენტთა 28%-ში რეზისტენტულია ასპირინის მიმართ; აღსანიშნავია ის გარემოებაც რომ თუ პაციენტი რეზისტენტულია ასპირინის მიმართ, ასევე რეზისტენტულია კლოპიდოგრელის (Plavix) ან ტიროფიბანის (Aggrastat) მიმართ (The British Medical Journal, 2008).

ასპირინისადმი რეზისტენტობის შესახებ პირველი ინფორმაცია გამოჩნდა 2003 წელს. 2007 წელს აღმოაჩინეს სისხლის პროტეინი რომელთანაც არის დაკავშირებული ასპირინისადმი რეზისტენტობის განვითარება. უკანასკნელი წლების სტატისტიკურ მონა-

ცემებზე დაყრდნობით ასპირინისადმი რეზისტენტულ პაციენტებს 4-ჯერ უფრო ხშირად უვითარდებათ მიოკარდიუმის ინფარქტი, ინსულტი და სიკვდილობაც შესაბამისად აღნიშნულ კონტიგენტში გაცილებით უფრო მაღალია, ვიდრე ასპირინისადმი სენსიტიურ პაციენტებში [12,13,14].

ამერიკის შეერთებული შტატების კიბოს ნაციონალური ინსტიტუტის 2008 წლის მონაცემების თანახმად ასპირინი ამცირებს ესტროგენ რეცეპტორ დადებითი მკერდის კიბოს განვითარების სიხშირეს 16%-ით.

მკერდის კიბო 75%-ში ესტროგენ-რეცეპტორ პოზიტიურია, რაც იმას ნიშნავს, რომ კიბოს უჯრედებს ზედაპირზე აქვთ ქალის სასქესო ჰორმონების: ესტროგენების რეცეპტორები (Journal of National Cancer Institute, 2008) [15,16].

მინესოტის უნივერსიტეტის კიბოს ცენტრის 2007 წლის მონაცემების თანახმად მოზრდილ მოსახლეობაში ასპირინის თუნდაც 2-ჯერ მიღება კვირის განმავლობაში 50%-ით ამცირებს ლეიკემიის განვითარების სიხშირეს; სტატისტიკური მონაცემების თანახმად, მოზრდილთა ლეიკემია ახლად დიაგნოსტირებული სიმსივნეების 5%-ს შეადგენს. ამერიკის კიბოს ნაციონალური ინსტიტუტის მონაცემების თანახმად ასპირინი 43%-ით ამცირებს პანკრეასის კიბოს განვითარების სიხშირეს (The National Cancer Institute, USA 2007).

ატლანტის კიბოს ასოციაციის მონაცემებით ასპირინის 5 წელზე მეტი ხნით გამოყენება თანხლებულია ზოგადად კიბოს სიხშირის 15%-ით დაქვეითებით. საყურადღებოა ის გარემოება, რომ აღნიშნული ცვლილებები ქალებში სტატისტიკურად სარწმუნო ხასიათს არ ატარებდა. ასპირინის ხანგრძლივი გამოყენება თანხლებული აღმოჩნდა პროსტატის სიმსივნის 20%-ით და მსხვილი და სწორი ნაწლავის კიბოს 30%-ით შემცირებასთან [17,18,19,20,21,22,23].

31 რანდომიზებული გამოკვლევის (32 0000 ორსული) მეტა ანალიზმა დაადგინა, რომ ასპირინის მცირე დოზებით გამოყენება ორსულ ქალებში 10%-ით ამცირებს პრეკლამფიის განვითარების რისკს (Lancet 2007) [24].

უკანასკნელ წლებში ასპირინი შედის ალცჰეიმერის დაავადების სამკურნალოდ მოწოდებულ მედიკამენტთა ნუსხაში;

პირველი ინფორმაცია იმის შესახებ რომ ასპირინი ეფექტურია ალცჰეიმერის დაავადების დროს გამოჩნდა 1997 წელს ამერიკაში ჩატარებული გამოკვლევის The Baltimore Longitudinal Study of Ageing-ის შემდეგ. ალცჰეიმერის დაავადების დროს ასპირინის ეფექტურობის შესაფასებლად ჩატარებული გამოკვლევებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ხანდაზმულ ტყუპებზე ჩატარებული გამოკვლევა The Study of 50 elderly twin (2003). ვარაუდობენ რომ ასპირინის ეფექტურობა ალცჰეიმერის დაავადების დროს დაკავშირებული უნდა იყოს ამ უკანასკნელის ანთების საწინააღმდეგო მოქმედებასთან.

დადგენილია, რომ ასპირინის მცირე დოზებსაც კი შეუძლიათ თრომბოციტების აგრეგაციის დათრგუნვა, საშუალო დოზებს ახასიათებს ტკივილ დამაყუჩებელი მოქმედება, ხოლო დიდი დოზები – ხასიათდებიან ანთების საწინააღმდეგო მოქმედებით.

არსებობს მონაცემები იმასთან დაკავშირებით რომ ასპირინი ხელს უშლის კატარაქტის განვითარებას (American Optometric Association, 1995) [25]. პირველადი პრევენციისათვის ასპირინის ეფექტურობის შესაფასებლად ჩატარებულმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ეს უკანასკნელი 33%-ით ამცირებს არაფატალური მიოკარდიუმის ინფარქტის სიხშირეს, მაგრამ სტატისტიკურად არასარწმუნო აღმოჩნდა მონაცემები საერთო სიკვდილობაზე ასპირინის გავლენის შესახებ. მიუხედავად ამისა ამერიკის გულის ასოციაციისა და ამერიკის კარდიოლოგთა კოლეჯის მიერ მოწოდებულია, რომ ასპირინი უნდა დაენიშნოს ჯანმრთელ მამაკაცებსა და ქალებს რომელთა გულ-სისხლძარღვთა დაავადებების განვითარების 10 წლიანი რისკი 6-10%-ია.

ასევე ძალიან საინტერესოა საკითხი იმის შესახებ აქვს თუ არა რაიმე მნიშვნელობა დღე-ღამის რომელ მონაკვეთში მოხდება ასპირინის მიღება, სხვაგვარად რომ ვთქვათ, არის თუ არა ასპირინის ეფექტურობა დამოკიდებული დღე-ღამურ რითმებზე?

უკანასკნელი წლებში ამასთან დაკავშირებით არაერთი გამოკვლევა ჩატარდა და საბოლოოდ მეცნიერები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ასპირინის მიღების დროს, რადგან ამ უკანასკნელის მოქმედება გრძელდება მიღებიდან 7-10 დღის განმავლობაში, ეს არის დრო რომელიც საჭიროა ახალი თრომბოციტების წარმოსაქმნელად.

ასპირინის გამოყენება თანხლებულია ორი უმთავრესი გვერდითი ეფექტით: დარღვევები კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მხრივ (გულისრევა, უსიამოვნო შეგრძნებები ეპიგასტრიუმის არეში, წყლულის განვითარება) და სისხლდენა ამ უკანასკნელიდან. სისხლდენების განვითარების სისშირე, არც ისე მაღალია და შეადგენს 0.13%-ს. აღნიშნული გვერდითი ეფექტების თავიდან ასაცილებლად მოწოდებულია ასპირინის ჭამის შემდეგ მიღება, თუმცა დღეისათვის უკვე არსებობს სპეციალური გარსით დაფარული ასპირინები რომლებიც არ აღიზიანებენ კუჭის ღორწოვან გარსს და უფრო მეტიც შესაძლებელია მათი ჭამამდე დანიშვნაც კი [26,27,28].

ამერიკის კარდიოლოგიის კოლეჯისა და ამერიკის გულის ასოციაციის რეკომენდაციების (2007) თანახმად ასპირინით მკურნალობა უნდა დავიწყოთ დაუყოვნებლივ მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტის მქონე იმ პაციენტებთანაც კი, რომლებიც მანამდე ხანგრძლივი დროის განმავლობაში იღებდნენ ვარფარინს და მათი INR არის ნორმაში განსაკუთრებით მაშინ როდესაც ვგეგმავთ ქირურგიულ ჩარევას [4].

იმ პაციენტებში რომლებსაც ჩაუტარდათ სტენტირება უპირატესობა უნდა მიენიჭოს ასპირინისა და კლოპიდოგრელის (პლავიქსი 75 მგ ერთჯერადად) ერთდროულ გამოყენებას, ხოლო თუ აღნიშნულ პროცედურამდე პაციენტი ხანგრძლივი დროით იმყოფებოდა ანტიკოაგულაციურ თერაპიაზე (ვარფარინი), სტენტის თრომბოზის თავიდან აცილების მიზნით შეიძლება დადგეს საკითხი სამივე მათგანის ერთობლივი გამოყენების შესახებ, თუმცა აღნიშნული კომბინაცია მნიშვნელოვნად ზრდის კუჭ-ნაწლავის ტრაქტიდან სისხლდენის განვითარების რისკს. ასეთ პაციენტებში INR-ის სიდიდე შენარჩუნებული უნდა იყოს 2-3-ის ფარგლებში. მკურნალობის ხანგრძლივობა დამოკიდებულია სტენტის ხასიათზე [4]. თუ სტენტი არ არის დაფარული სამკურნალო ნივთიერებებით, მაშინ სამ კომპონენტისანი მკურნალობა უნდა გაგრძელდეს 1 თვის განმავლობაში, აღნიშნული დროის შემდეგ შესაძლებელია კლოპიდოგრელის შეწყვეტა, ხოლო თუ სტენტი დაფარულია სამკურნალო ნივთიერებით, კლოპიდოგრელით მკურნალობა უნდა გაგრძელდეს 1 წლის განმავლობაში [4]. მექანიკური გულის სარქველების მქონე პაციენტებში თრომბოემბოლიური გართულებების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდებულია ასპირინისა (75-100მგ) და ვარფარინის ერთობლივი გამოყენება, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში როდესაც ანამნეზში აღინიშნება თრომბოემბოლია, კორონარული, ცერებრო-ვასკულური ან პერიფერიული სისხლძარღვების დაავადება [4].

Aspirin: a Unique Medication's New Clinical Possibilities

Sh. Chumburidze

Acad. N. Kipshidze National Center of Therapy

Aspirin is still the most versatile and effective medicine on the pharmacist's shelf. But as doctors are now increasingly recognizing, the drug does not just relieve aches and pains, it can also prevent a wide range of serious, life threatening conditions.

The active ingredient in aspirin, acetyl salicylic acid, is a synthetic derivative of a compound, salicin, which occurs naturally in plants, notably the willow tree. Extracts of willow were traditionally used in folk medicine and as early as 400 BC the Greek physician Hippocrates recommended a brew made from willow leaves to treat labour pains.

1897 Felix Hoffmann of the Bayer pharmaceutical company developed the process of synthesizing the acetyl salicylic acid named later as aspirin.

In early clinical trials aspirin was found to be a potent treatment for pain, fever and inflammation. Today it is the best known and most widely used medicine in the world with an estimated 100 billion tablets swallowed every year.

But how aspirin works was a mystery until comparatively recently. During the 1970s the British scientist Professor John Vane discovered that it blocked an enzyme needed for the production of natural hormones called prostaglandins involved in many body processes including pain and tissue injury. In 1982 Professor Vane won the Nobel Prize for Medicine for this work.

Yet even now biomedical scientists are still finding out more about the effects of aspirin in the body and their discoveries are opening up further possibilities for future clinical applications. Probably the most significant of these is its role in preventing the production of the prostaglandin thromboxane, which is a vital link in the process which leads to the formation of blood clots.

Small daily doses of aspirin may therefore help prevent diseases such as heart attack, stroke and the blindness.

There have been many trials to test the long term benefits of using aspirin as a preventive medicine.

Analysis of data from a large studies suggested that regular aspirin use may reduce the risk of heart disease, ischemic stroke, prostate cancer, breast cancer, pancreatic cancer, colorectal cancer, leukemia, cataract, Alzheimer's disease.

There is evidence that the use of aspirin in pregnant women predisposed to preeclampsia significantly reduces the rates of preeclampsia and perinatal death, without evidence of harm.

Equally importantly it will be necessary to find out if long term treatment with aspirin does any harm. As the drug has been used so widely and for so long this may seem unlikely but as with all medicines there are always some risks. So far the only proven side effects of aspirin use are remarkably minor. About six per cent of patients suffer some form of indigestion and about one in 500 may get an allergic reaction usually itching. In some people it may also cause mild bleeding from the lining of the stomach and patients with gastric ulcers are told to use some other form of painkiller.

Most of the drugs which would have been found alongside aspirin in a Victorian pharmacy have long since disappeared, replaced by newer and more effective drugs. But aspirin goes from strength to strength. And given the pace of current research into new uses for the drug it seems likely that it will still be available long into the next century.

ლიტერატურა:

1. Eric Metcalf - Aspirin : the miracle drug Paperback: 212 pages / Avery Publishing Group (April 7, 2005).
2. Diarmuid Jeffreys - Aspirin: The Remarkable Story of a Wonder Drug 352 pages Bloomsbury 352 USA (August 11, 2005)5;110n.
3. Vane JR, Botting RM - The mechanism of action of aspirin Tromb Res 2003, 110(5-6):255-8
4. Wolff T, Miller T, Ko S. Aspirin for the primary prevention of cardiovascular events: an update of the evidence for the U.S. Preventive Services Task Force. *Ann Intern Med* 2009; 150:405-10.
5. Thom T, Haase N, Rosamond W, Howard VJ, Rumsfeld J, Manolio T, et al; American Heart Association Statistics Committee and Stroke Statistics Subcommittee. Heart disease and stroke statistics—2006 update: a report from the American Heart Association Statistics Committee and Stroke Statistics Subcommittee. *Circulation* 2006;113:e85-151.
6. U.S. Preventive Services Task Force. Aspirin for the primary prevention of cardiovascular events: recommendation and rationale. *Ann Intern Med* 2002; 136:157-60. PMID: 11790071.
7. Hayden M, Pignone M, Phillips C, Mulrow C. Aspirin for the primary prevention of cardiovascular events: a summary of the evidence for the U.S. Preventive Services Task Force. *Ann Intern Med.* 2002; 136:161-72.
8. Berger JS, Roncaglioni MC, Avanzini F, Pangrazzi I, Tognoni G, Brown DL. Aspirin for the primary prevention of cardiovascular events in women and men: a sex-specific meta-analysis of randomized controlled trials. *JAMA* 2006; 295:306-13. PMID: 16418466.
9. Ridker PM, Cook NR, Lee IM, Gordon D, Gaziano JM, Manson JE, et al. A randomized trial of low-dose aspirin in the primary prevention of cardiovascular disease in women. *N Engl J Med* 2005; 352:1293-304. PMID: 15753114
10. Buse JB, Ginsberg HN, Bakris GL, Clark NG, Costa F, Eckel R, et al; American Heart Association; American Diabetes Association. Primary prevention of cardiovascular diseases in people with diabetes mellitus: a scientific statement from the American Heart Association and the American Diabetes Association. *Circulation* 2007; 115:114-26
11. Goldstein LB, Adams R, Alberts MJ, Appel LJ, Brass LM, Bushnell CD, et al; American Heart Association; American Stroke Association Stroke Council. Primary prevention of ischemic stroke: a guideline from the American Heart Association/American Stroke Association Stroke Council: cosponsored by the Atherosclerotic Peripheral Vascular Disease Interdisciplinary Working Group;

- Cardiovascular Nursing Council; Clinical Cardiology Council; Nutrition, Physical Activity, and Metabolism Council; and the Quality of Care and Outcomes Research Interdisciplinary Working Group. *Circulation* 2006;113:e873-923
12. Patrono C.- Aspirin resistance: definition, mechanisms and clinical read-outs. *J Thromb Haemost* 2003;1:1710-3.
 13. Eikelboom JW, Hirsh J, Weitz JI, Johnston M, Yi Q, Yusuf S. Aspirin resistance and the risk of myocardial infarction, stroke, or cardiovascular death in patients at high risk of cardiovascular outcomes. *Circulation* 2002; 105: 1650-5.
 14. Ardehali, R., Blumenthal, R. S., Lange, R. A., Ardehali, H. - Aspirin and Clopidogrel Resistance. 2006 *Mayo Clin Proc.* 81: 518-526.
 15. Catherine R Tait - Aspirin and breast cancer prevention *Breast Cancer Res* 2004, 6:211-212.
 16. Low-dose aspirin and breast cancer risk: results by tumor characteristics from a randomized trial: Zhang SM, Cook NR, Manson JE, et al (Harvard Med School, Boston, MA; et al) *Br J Cancer* 98:989-991, 2008.
 18. Aspirin Use in Relation to Risk of Prostate Cancer, Michael F. Leitzmann, Meir J. Stampfer, Jing Ma, June M. Chan, Graham A. Colditz, Walter C. Willett, and Edward Giovannucci .Vol. 11, 1108–1111, October 2002 *Cancer Epidemiology, Biomarkers & Prevention*.
 19. Prevention of Prostate Cancer: What We Know and Where We Are Going - J. Jayachandran and S. J. Freedland *Am J Mens Health* June 1, 2008 2:178-189.
 20. Aspirin Prevention of Colorectal Cancer: More or Less? Robert S. Sandler *Annals of Internal medicine* 3, 2004 vol. 140 no. 3 224-225
 21. Benamouzig R, Deyra J, Martin A, Girard B, Jullian E, Piednoir B, et al. Daily soluble aspirin and prevention of colorectal adenoma recurrence: one-year results of the APACC trial. *Gastroenterology*. 2003; 125:328-36.
 22. Baron JA, Cole BF, Sandler RS, Haile RW, Ahnen D, Bresalier R, et al. A randomized trial of aspirin to prevent colorectal adenomas. *N Engl J Med*. 2003; 348:891-9.
 23. Nelson J. E., Harris R. E. Inverse association of prostate cancer and non-steroidal anti-inflammatory drugs (NSAIDs): results of a case-control study. *Oncol. Rep.*, 7: 169-170, 2004
 24. Steve Caritis, Baha Sibai, John Hauth, Marshall D, et al. Low-Dose Aspirin to Prevent Preeclampsia in Women at High Risk. *The New England Journal of Medicine*, Volume 338:701-705, March 12, 1998, Number 11.
 25. Aspirin and cataract H Cheng *Br J Ophthalmol* 1992 76: 257-258
 26. Hernández-Díaz S, García Rodríguez LA. Cardioprotective aspirin users and their excess risk of upper gastrointestinal complications. *BMC Med* 2006;4:22.
 27. Hernández-Díaz S, Rodríguez LA. Incidence of serious upper gastrointestinal bleeding/perforation in the general population: review of epidemiologic studies. *J Clin Epidemiol* 2002; 55:157-63.
 28. Cryer B. Gastrointestinal safety of low-dose aspirin. *Am J Manag Care*. 2002; 8:S701-8.
 29. Nonsteroidal Anti-inflammatory Drugs and Risk of Prostate Cancer in the Baltimore Longitudinal Study of Aging E. A. Platz, S. Rohrmann, J. D. Pearson, M. M. Corrada and H. B. Carter *Cancer Epidemiol. Biomarkers Prev.* February 1, 2005 14:390-396.
 30. А.М. Гахокидзе, Н.В. Алексидзе.- Конденсация салициловой кислоты с углеводами – Труды Тбилисского гос. Пединститута 1964. т.18.с.203.

**მიოკარდიუმის ინფარქტის დიაგნოსტიკის კლინიკურ-
დემოგრაფიული დახასიათება ჰოსპიტალიზაციამდე ეტაპზე**

ნ. ცინცაძე, მ. კიკნაძე***

*ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

*თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი***

საკვანძო სიტყვები: მიოკარდიუმის ინფარქტი, ჰოსპიტალიზაციამდე დიაგნოსტიკა

პრობლემის აქტუალობა. მწვავე მიოკარდიუმის ინფარქტი არის სიკვდილიანობის ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავრცელებული მიზეზი მთელ მსოფლიოში. იგი ლიდერობს სიკვდილიანობის მიზეზთა შორის, რომელიც ითვლიდა დაახლოებით 6,3 მილიონ სიკვდილის შემთხვევას. აშშ ყოველწლიურად დაახლოებით 900000 ადამიანი ავადდება მიოკარდიუმის ინფარქტით, საიდანაც 225000 კვდება. დაახლოებით ნახევარი ამ ავადმყოფების იღუპება დაავადების სიმპტომების გამოვლინების უახლოეს 1 საათში. ამასთანავე საერთო რაოდენობიდან 30% იღუპება პირველ 15 წთ-ში, ხოლო ამდენივე შემდგომ 2 სთ-ში, ფაქტიურად ჰოსპიტალიზაციამდე ეტაპზე. შემთხვევების სიხშირე იზრდება ასაკის პარალელურად ორივე სქესის ავადმყოფთათვის და არის უფრო მაღალი მამაკაცებში და სოციალურად დაუცველ ფენებში, ვიდრე ქალებში და შეძლებულ პაციენტებში ყველა ასაკობრივ ჯგუფში [7,10,12,13]. ამასთანავე მიუხედავად უმნიშვნელოვანესი წარმატებებისა კარდიოლოგიაში ჰოსპიტალიზირებულ ავადმყოფთა 15-30%-ში მიოკარდიუმის ინფარქტი ლეტალური გამოსავლით მთავრდება. ამაში კი უმნიშვნელოვანეს როლს სწორედ დაგვიანებული შემთხვევები და დიაგნოსტიკური შეცდომები ასრულებს. მიოკარდიუმის ინფარქტის ჰოსპიტალიზაციამდე დიაგნოსტიკის ხარისხი რჩება სერიოზულ პრობლემად მოსახლეობისათვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენისას [2,5]. რეალური ცხოვრება მოწმობს, რომ დაშვებული დიაგნოსტიკური შეცდომების რაოდენობა მიოკარდიუმის ინფარქტის დროს, ამბულატორიული რგოლის და სასწრაფო დახმარების ექიმების მიერ კვლავაც დაუშვებლად მაღალია [2,5]. უკანასკნელი სამეცნიერო გამოკვლევები მოწმობენ, რომ მიოკარდიუმის ინფარქტი სულაც არ არის გერიატრიული პრობლემა და სულ უფრო მეტი და მეტი ახალგაზრდა ადამიანი ხდება მოულოდნელი მსხვერპლი ამ ვერაგი დაავადების. მიოკარდიუმის ინფარქტი არ წარმოადგენს იშვიათობას 35-45წ. პაციენტებში [3]. L. March მონაცემებით, აშშ მიოკარდიუმის ინფარქტის 10% დაავადებების საერთო შემთხვევიდან მოდის 45წ. ასაკის ქვემოთ მყოფ ავადმყოფებზე და ამ ჯგუფში ჭარბობენ მამაკაცები. აქედან გამომდინარე მიოკარდიუმის ინფარქტის ჰოსპიტალიზაციამდე ეტაპის დიაგნოსტიკის შედეგების გაანალიზება ასაკის და სქესის გათვალისწინებით არსებით მნიშვნელობას იძენს, ამასთანავე გამოვლენა ჰიპო და ჰიპერდიაგნოსტიკის მიზეზების, რომელიც საფუძველი ხდება დიაგნოსტიკური შეცდომების და არაკეთილსაიმედო პროგნოზის.

კლინიკური მასალა და მეთოდები. რეტროსპექტიულად სულ შესწავლილია 519 ავადმყოფი. ეს ავადმყოფები მოყვანილ იქნენ ქ. ბათუმის რესპუბლიკური საავადმყოფოს კარდიოლოგიურ განყოფილებაში დიაგნოზით „მიოკარდიუმის ინფარქტი“. დიაგნოზი სტაციონარში დადასტურებული იყო კლინიკური, ეკგ და ლაბორატორიული გამოკვლევებით. მიოკარდიუმის ინფარქტის ჰოსპიტალიზაციამდე დიაგნოსტიკა ხორციელდებოდა ჩვენთვის ხელმისაწვდომი სამედიცინო დოკუმენტაციის საფუძველზე (სასწრაფო დახმარების ტალონი, ამბულატორიული რუქა. ამონაწერი სტაციონარიდან). განსაკურებული ყურადღება ექცეოდა შემოსვლის და კლინიკურ დიაგნოზებს შორის სხვაობას, ეწ. ჰიპო და ჰიპერდიაგნოსტიკის შემთხვევების დეტალურ ანალიზს. ავადმყოფთა ასაკი მერყეობდა 32 წლიდან 79 წლამდე. მათ შორის ქალი 136, მამაკაცი 383. დროული მომართვიანობის კრიტერიუმად ითვლებოდა პირველი ექვსი საათი დაავადების დაწყებიდან. დაავადების დაწყებიდან პირველი 6 სთ-ის განმავლობაში სტაციონარს მომართა ავადმყოფთა 22,9%, 6 სთ-ის შემდეგ პაციენტთა 77,1%, მძიმე ვარიანტი აღენიშნა ავადმყოფთა 72,0%-ს, ატიპიური მი 27,8%-ს.

შედგების განხილვა. მიოკარდიუმის ინფარქტის ჰოსპიტალიზაციამდელი დიაგნოსტიკის შედეგების ანალიზმა გამოავლინა შემდეგი: გამომზავნი დაწესებულების მიერ დაშვებულმა ჰიპოდიაგნოსტიკამ შეადგინა 9,63%, შიდა ჰიპოდიაგნოსტიკა აღინიშნა 2,31% შემთხვევაში, ჰიპერდიაგნოსტიკა – 18,9%, დიაგნოზის დამთხვევა შემოსვლისას და სტაციონარში ყოფნისას 88,96% შემთხვევა.

მიოკარდიუმის ინფარქტით ავადმყოფებმა 45 წლამდე შეადგინა 9,06%, 45-59 წ. – 31,61%, 60-74 წ. – 49,3%, 75 \geq და მეტი 10%. ქალები 26,2%, მამაკაცები – 73,8%. ავადმყოფთა საერთო რიცხვიდან დაავადების დაწყებიდან პირველი 6 სთ-ის განმავლობაში ანუ დროულად ჰოსპიტალიზებული იქნა ავადმყოფთა 22,9%, 6-დან 12 სთ-მდე – 20%, 12-დან 24 სთ-მდე – 14%, მოლიანად პირველი დღე-ღამის განმავლობაში პაციენტთა 56%, მეორე და მესამე დღეს – 22,5%, მეოთხე, მეხუთე – 10,3%, მეექვსე, მეშვიდე – 3%, მერვე, მეცხრე – 2,8%, მეთერთმეტე, მეთორმეტე – 3,3%, უფრო გვიან – 1,2%. ამგვარად თითქმის ნახევარი ავადმყოფები ჰოსპიტალიზებული იყო 24 სთ-ის შემდეგ. პირველი 3 დღე-ღამის განმავლობაში, რომელიც ყველაზე მეტად სასიფათო და საშიში პერიოდია მძიმდინარეობაში, ჰოსპიტალიზებული იყო მხოლოდ ავადმყოფთა 77,1%. დაგვიანებული ჰოსპიტალიზაციის მიზეზი ყველაზე ხშირად ჩვენი ანალიზით იყო დიაგნოსტიკური შეცდომები ან დაგვიანებული დიაგნოსტიკა. მძიმდინარეობაში დაგვიანებული გამოვლენა ჰოსპიტალიზაციამდელ ეტაპზე ხშირად განპირობებული იყო დიაგნოსტიკური შეცდომების სუბიექტური ხასიათით, ისეთით როგორცაა ავადმყოფის ჩივილების და ანამნეზის შეუფასებლობა, ასევე ობიექტური გამოკვლევების არასწორი ინტერპრეტაცია (ეკგ, ლაბორატორიული მონაცემები და სხვ.).

მძიმდინარეობაში პაციენტებში ქალაქის მაცხოვრებლები სარწმუნოდ სჭარბობდა სოფლის მაცხოვრებლებს შესაბამისად 63,55 და 36,42%, $P < 0,01$. ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი ერგო პენსიონერებს 47,98% და უმუშევრებს 23,51%. სხვა პროფესიულებთან შედარებით, ასევე მაღალი იყო მოსამსახურეთა პროცენტი შესაბამისად 13,68%.

რისკ-ფაქტორებიდან მამაკაცებში ყველაზე მაღალი ხვედრითი წილი ჰქონდა თამბაქოს მოხმარებას 64,93%, შემდეგ ჰიპერქოლესტერინემია (ჰქ) 31,3% და მესამე ადგილზე იყო არტერიული ჰიპერტენზია 25,63%.

ქალებში რისკ-ფაქტორებიდან პირველ ადგილზე ჰქ 19,2%, მეორეზე არტერიული ჰიპერტენზია 13,68%, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მძიმდინარეობაში ამ ავადმყოფებში არტერიული ჰიპერტენზია ანამნეზში უფრო მეტად აღენიშნებოდათ ქალებს მამაკაცებთან შედარებით. ხაზი უნდა გაესვას ცხიმოვანი საკვების ჭარბ მოხმარებას, როგორც მამაკაცებში, ასევე ქალებში შესაბამისად 55,06% და 20,43%.

მიოკარდიუმის ინფარქტის შემთხვევების კლინიკური დახასიათება გამოიყურება ასე: მიოკარდიუმის ინფარქტი Q კბილით 45,86%, მი Q კბილის გარეშე 54,14%, პირველადი მძიმდინარეობით 83,43%, განმეორებითი მძიმდინარეობით 16,57%. ტიპური (ანგინოზური) ვარიანტი 72,5%, ატიპიური კლინიკური ვარიანტი 27,8%. ელექტროკარდიოგრაფიული გამოკვლევა მძიმდინარეობის დროს ჰოსპიტალიზაციამდელ ეტაპზე ჩატარდა 92,7%. სარწმუნო მძიმდინარეობის გამოვლინდა 45,86% შემთხვევაში, არასარწმუნო მძიმდინარეობა შეადგენდა 48,6%. აქედან 5,5%-ს ეკგ-ზე არსებითი დინამიკა არ გამოუვლენია. ეკგ არასარწმუნო ცვლილებები ხშირად გვხვდებოდა ატიპიური მძიმდინარეობის, ისევე როგორც ტიპური კლინიკური მძიმდინარეობის შემთხვევებში. ასე მაგალითად, სარწმუნო (გარკვეული) ცვლილებები ეკგ აღენიშნა ავადმყოფთა 45,86%. ტიპური მძიმდინარეობის მძიმდინარეობის დროს 19,36%. განსხვავება ($P < 0,01$). სირთულე მძიმდინარეობის შემთხვევების დიაგნოსტიკის განპირობებული იყო არა მხოლოდ კლინიკური სურათის ატიპიურობით, არამედ ეკგ არასარწმუნო ცვლილებების 13,04% მაღალი სიხშირითაც, რასაც გვხვდებით დაავადების ამ ვარიანტების დროს.

75 წ. > ასაკის პაციენტების ჯგუფში თანაბრად იყო წარმოდგენილი ქალები და მამაკაცები, რაც სხვა ასაკობრივ ჯგუფებში არ გვხვდებოდა, ეს გარკვეულწილად ქალების სიჭარბეზე მეტყველებს ამ ასაკობრივ ჯგუფში. ქალებში უფრო ხშირად, ვიდრე მამაკაცებში გვხვდებოდა მძიმდინარეობის მიმდინარეობა, ასევე პირველი მძიმდინარეობის მიმდინარეობის მონაცემები გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ ქალები ავადმყოფობის დაახლოებით ათი, თხუთმეტი წლით გვიან, ვიდრე მამაკაცები, თანაც [9] ქალებში უფრო ხშირია პირველი [65] და Q კბილოვანი ინფარქტი ჩვენი მასალების მიხედვით, განსხვავებით სხვებისაგან, სადაც დომინირებს გამოკვლევებში არა Q კბილოვანი მძიმდინარეობა.

მომხმარებელი ლეიტანობა ქალებში უფრო დაბალია, ვიდრე მამაკაცებში. ლეიტანობა ქალებში იყო უფრო დაბალი ყველა ასაკობრივ და კლინიკურ ჯგუფებში სტატისტიკურად სარწმუნოდ $P<0,01$. თუმცა ამ განსხვავების მიზეზი შესაძლებელია იყოს სტაციონარში მონაკლები შემთხვევების რიცხვი ქალებში. ჩვენი მონაცემები არ ეთანხმება მონაცემებს, რომელიც მოწმობს უფრო მაღალ პოსტიტალურ ლეიტანობას ქალებში [4,15].

ჩვენს მასალაზე გამოვლინდა, რომ უფროსს ასაკობრივ ჯგუფებში უფრო ხშირად გვხვდებოდა მონაკლები კლინიკური მიმდინარეობა და განმეორებითი მონაკლები. ასე მაგალითად, <45 წ. ქვემოთ მონაკლები მიმდინარეობა აღნიშნული არ ყოფილა. ატიპიური მონაკლები საშუალო, ხანშიშესულ და მოხუცებულობით ასაკში შეადგენდა 33,7%, 49,6% და 16,5% ($P<0,05$), ხოლო განმეორებითი მონაკლები ანალოგიურ ასაკობრივ ჯგუფებში 17,50 და 32% შესაბამისად ($P<0,01$).

სიხშირე ექიმთან დროული მომართვიანობის არასარწმუნოდ მაღალი პერიოდით ახალგაზრდა პაციენტებს 75%, ხოლო სხვა ასაკობრივ ჯგუფებში მერყეობდა 60,6-63,1%-მდე. გამოვლინდა ასაკთან ერთად არა Q კბილოვანი მონაკლების გაზრდის ტენდენცია 75 წ. $>$ ზემოთ. მონაკლები ლეიტანობა კანონზომიერად იზრდებოდა ასაკთან ერთად და შეადგენდა ახალგაზრდა საშუალო და ხანშიშესულ ჯგუფებში 1,35%, 2,89% და 0,82%. აღინიშნა მონაკლები შემთხვევების მატება ხანშიშესულ და მოხუც ავადმყოფებში. დაკვირვების მთელი პერიოდის განმავლობაში მონაკლები ავადმყოფების რაოდენობა 75 წ. $>$ უფრო მეტი იყო ქალების ჯგუფში (18,3%), ვიდრე მამაკაცებში (7,05%). ამასთანავე იზრდებოდა ხანშიშესული პაციენტების რაოდენობა, როგორც ქალების, ასევე კაცების პოპულაციაში, ქალები 61,03%, მამაკაცები 45,17%.

ასაკის მატებასთან ერთად ისახებოდა არადროული დიაგნოსტიკის შემცირების და პიპერდიაგნოსტიკის სიხშირის გაზრდის ტენდენცია. ამგვარად ჩვენი გამოკვლევის შედეგები ადასტურებენ მონაცემებს უფრო ხშირი პიპერდიაგნოსტიკის შემთხვევებისა მონაკლებში, ასევე უფროსს ასაკობრივ ჯგუფებში არ ადასტურებენ პიპერდიაგნოსტიკის შემთხვევების სიხშირის გაზრდას მონაკლები პაციენტებში [8].

მიღებული მონაცემები მოწმობს, რომ ობიექტური სიმკვლე მონაკლები დიაგნოსტიკის პოსტიტალიზაციამდე ეტაპზე აბსოლუტური კი არა, არამედ შედარებითაა. ობიექტური ფაქტორი დიაგნოსტიკური სირთულის შეიძლება გაწონასწორდეს სუბიექტური ფაქტორით – სიფრთხილით მონაკლების დაშვების გათვალისწინებით ხანშიშესული ასაკის პაციენტებში [5,6]. ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების ურთიერთქმედებით მონაკლები პაციენტთა სხვადასხვა კლინიკურ და დემოგრაფიულ ჯგუფებში ყალიბდება ურთიერთსაპირისპირო ტენდენციები პიპერ და პიპერდიაგნოსტიკის შემთხვევების. ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ მონაკლები პიპერდიაგნოსტიკა უმეტესად იყო გამართლებული იმ თვალსაზრისით, რომ პოსტიტალიზაციამდე ეტაპზე შეუძლებელი იყო მონაკლები გამოვლინება. ეს შემთხვევები 46 ავადმყოფში განპირობებული იყო არასტაბილური სტენოკარდიით.

3 წლის განმავლობაში დიაგნოსტიკური მანევრების დინამიკა ხასიათდებოდა პიპერდიაგნოსტიკის სიხშირის შემცირებით, გამოკვლევის მესამე წელს, პირველთან შედარებით, მამაკაცებში შესაბამისად 1,73% და 2,70%. გამონაკლისს წარმოადგენდა გამოკვლევის მეორე წელი, სადაც პიპერდიაგნოსტიკის მანევრებელი - 5,20%. რაც შეეხება ქალებს, აქ პიპერდიაგნოსტიკის მანევრებელი ერთნაირი იყო პირველ და მესამე წელს 0,39%, ხოლო გამოკვლევის მეორე წელს - 1,39%. ეს რა თქმა უნდა, სტატისტიკურად სარწმუნოდ ნაკლები იყო, ვიდრე მამაკაცების პიპერდიაგნოსტიკის მანევრებელი $P<0,01$. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო მონაკლები დიაგნოსტიკის სიხშირის შემცირება მოხუცებულობით ასაკის ჯგუფის პაციენტებში 22,5%-დან 9,06%-მდე. პიპერდიაგნოსტიკის სიხშირეს პერიოდით მკაფიო ტენდენცია ყოველწლიური მატების უფრო ახალგაზრდა პაციენტთა ჯგუფებში. გამოკვლევის მთელი პერიოდის განმავლობაში აღინიშნებოდა დიაგნოსტიკური მანევრების სიხშირის შემცირება ორივე სქესის ავადმყოფებში და დროული დიაგნოსტიკის მანევრების ზრდა 19,46%-დან 23,12%-მდე მამაკაცებში და 7,5-დან 8,67%-მდე ქალებში.

პიპერდიაგნოსტიკის დონის მომატება სხვადასხვა კლინიკური ვარიანტების დროს ასახავს სიფრთხილის გაზრდის საერთო ტენდენციას მონაკლები დიაგნოსტიკის დროს. ხაზი უნდა გაესვას, რომ პიპერდიაგნოსტიკა მონაკლები მიმდინარეობდა არსებითად უხეში შეცდომებში

ბით და ძირითადად უკავშირდებოდა არასტაბილურ სტენოკარდიას ან იშემიის სხვა ფორმებს, ისევე როგორც [3,6] გამოკვლევებში.

მომსახურების ხარისხის დიაგნოსტიკაში ატიპიური ვარიანტების ხასიათდება ძირითადად ორი ტენდენციით, რომელსაც მიყვავართ დაავადების ჰიპო და ჰიპერდიაგნოსტიკასთან. თუ ორიენტირებული ვართ დაავადების ტიპურ კლინიკურ და ეკგ ნიშნებზე არსებითად იზრდება ჰიპოდიაგნოსტიკის სიხშირე. მეორეს მხრივ, თუ სახეზეა ზედმეტი სიფრთხილე ატიპიური ფორმების მიმართ მივიღებთ ჰიპერდიაგნოსტიკას. არასასურველია დიაგნოსტიკური შეცდომების ორივე ტიპი. განსაკუთრებით უარყოფითი კლინიკური მნიშვნელობა ენიჭება მთლიანად ჰიპოდიაგნოსტიკას, რომლის დროსაც მატულობს გართულებების და ლეტალური გამოსავლის სიხშირე.

მომსახურების ხარისხის ანალიზმა გვიჩვენა, რომ მთლიანად ატიპიური ვარიანტები გვხვდებოდა საკმარისად ხშირად დაახლოებით 27,8% შემთხვევაში, გამოვლინდა, რომ ატიპიური ვარიანტების დიაგნოსტიკა ჰოსპიტალიზაციამდე ეტაპზე იყო უარესი, ვიდრე ტიპიური ვარიანტების (ანგინოზური), ასევე უფრო ხშირი იყო ჰიპო და ჰიპერდიაგნოსტიკა ატიპიური ფორმების დროს.

ამგვარად შესაძლებელია დავასკვნათ, რომ დროული და ზუსტი დიაგნოსტიკა მთლიანად ხანშიშესულ და მოხუცებულ პაციენტებში არის მნიშვნელოვანი პრობლემა მთლიანად დიაგნოსტიკის ჰოსპიტალიზაციამდე ეტაპზე. საჭიროა კვალიფიციური მიზანმიმართულობა დაავადების გამოვლენაზე, რომელსაც თან ახლავს დიფერენციალური დიაგნოზის მკაფიო ელემენტები. სხვა შემთხვევაში სახეზე იქნება დაუსაბუთებელი ჰიპო და ჰიპერდიაგნოსტიკის მაღალი მაჩვენებლები: თუმცა მთლიანად ტიპური დიაგნოსტიკის ხარისხი განისაზღვრება არა მხოლოდ ექიმის კვალიფიკაციით, არამედ სოციალურ-ეკონომიკური პირობებითაც. ასე მაგალითად, ობიექტური სიმკვლეები კლინიკური დიაგნოსტიკის მოხუცებულობით ასაკში განპირობებულია სოციალურ-ეკონომიკური პირობებით [11,13,14].

ამრიგად მთლიანად დიაგნოსტიკის ანალიზი გვიჩვენებს, რომ არსებობს კლინიკური თავისებურებები მთლიანად მოხუცებულობით ასაკში და ქალებში იმ შემთხვევაში, თუ ექიმის კვალიფიკაცია არ ახდენს გავლენას დიაგნოსტიკურ შეცდომებზე.

ერთ-ერთი ფაქტორი მთლიანად დიაგნოსტიკის ანალიზის დიაგნოსტიკური პროცესის ხარისხის ამაღლების არის დიაგნოსტიკის ხარისხის და ჰიპო და ჰიპერდიაგნოსტიკის შემთხვევების მუდმივი კონტროლი.

მთლიანად დიაგნოსტიკის შედეგების მონიტორინგი ავადმყოფთა ცალკეულ ჯგუფებში დემონსტრირებას ახდენს დროული დიაგნოსტიკის შესაძლებლობების დროულად მოახდინოს ლიკვიდაცია მთლიანად დიაგნოსტიკური პროცესის არასასურველი ტენდენციების ჰოსპიტალიზაციამდე ეტაპზე, რაც საშუალებას მოგვცემს უფრო ოპერატიულად განვახორციელოთ გავლენა სამედიცინო დახმარების ხარისხზე ავადმყოფთა ასაკის და სქესის გათვალისწინებით.

Clinical and Demographic Characteristics of Prehospital Diagnosis of Myocardial Infarction

N.Tsintsadze, M. Kiknadze***

*Shota Rustaveli Batumi State University *, Tbilisi State Medical University ***

Key words: myocardial infarction, prehospital stage, demography

The aim of our study was to investigate results of prehospital diagnosis of myocardial infarction in 519 patients of different age and gender. Myocardial infarction was typical in 72,0%, atypical - in 28,0% of patients. Most frequently myocardial infarction with atypical pain syndrome 12,1%, arrhythmic – 3,2%, asthmatic – 8,3%. MI, abdominal – 4,2%. Late diagnosis of typical and atypical MI* was 12,8 and 20,6%. No statistically significant differences were found in frequency of diagnostic errors in different demographic groups of patients. For 3 year was a trend to hyperdiagnosis of myocardial infarction, especially in young patients and males. Late diagnosis occurred more rarely in both males and females. Reduction of hypo and rise in hyperdiagnosis occurrence in 3 years occurred due to atypical variants.

ლიტერატურა:

1. Алмазов В.А., Веркович О.А., Ситникова Е.В. и др. Эндотелиальная дисфункция у больных с дебютом ишемической болезни сердца в разном возрасте. Кардиология, т. 41, 5, 2001.
2. Голиков А.П., Закин А.М. Методические аспекты проблемы стандартов экстренной кардиологической помощи на догоспитальном этапе. В кн.: Актуальные вопросы организации и медицинских технологий в службе скорой помощи. М., 1992, 102-108.
3. Голиков А.П., Панкин О.А. Острый коронарный синдром и ошибки догоспитальной диагностики инфаркта миокарда. Кардиология, 12, 2000, 26-29.
4. Иванов А.Г. и др. Выживаемость больных с острым инфарктом миокарда. Здравоохран. Рос. Федерации, 1991, 3: 26.
5. Панкин О.А. Клиническое значение дифференцированной оценки точности догоспитальной диагностики инфаркта миокарда. Автореф. Дис. Канд. Мед. Наук. М., 2000.
6. Панкин О.А. Демографические аспекты догоспитальной диагностики миокарда. Тер. архив, 2001, № 4, с. 12-16.
7. Сыркин А.Л. Преинфарктное состояние: диагностика и лечение. Кардиология, 1993, № 1, с. 74-77.
8. Эпидемиология и профилактика сердечно-сосудистых болезней у пожилых людей. Доклад исследовательской группы ВОЗ. Женева, 1996.
9. Armenio Guimaraes M.D. The serum cholesterol level in the Brazilian salaried population // Abstract book 3rd International conference on preventive cardiology, Norway, 1993, 101.
10. BMJ Publishing Group LTD, 2003, 9.
11. Herlitz J. Karlson B.W. et al. Ten-year mortality for patients discharged after hospitalization for chest pain or other symptoms raising suspicion of acute myocardial infarction in relation to hospital discharge diagnosis. Journal of Internal Medicine. 251(6): 526-32, 2000, Sun.
12. Marrugat J., Gil M., Masia R. et al. Role of age and sex in short-term and long-term mortality after a first Q wave myocardial infarction. Journal of Epidemiology & Community Health. 55(7): 487-93, 2001, Jul.
13. Molstad P., Andersen K. Reduced mortality after myocardial infarction. Tidsskrift Den Norske laegeforening. 122(13): 1271-5, 2002. May 20.
14. Tyden P., Engstrom G. et al. Geographical pattern of female deaths from myocardial infarction in an urban population fatal outcome out of hospital related to socio-economic deprivation. Journal of Internal Medicine. 250(3): 201-7, 2001, Sep.
15. Vaccarino V., Parsons L. et al. Sex-based differences in early mortality after myocardial infarction. National registry of myocardial infarction 2 participants N. Eng. Med. J., 1999, 341(4), 217-225.
16. კეკელიძე მ., მიოკარდიუმის ინფარქტის პოსტიტალური მკურნალობის დიაგნოსტიკა. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, სამეცნიერო შრომათა კრებული, ტომი XXXIX, თბილისი 2003 წ. გვ. 189-90.
17. Кипшидзе Н.Н., Медзмаришвили Т.Г., Джавахишвили Н.Н. – К изучению вопроса профилактики инфаркта миокарда – Атеросклероз и коронарная недостаточности Т.№3, Тбилиси, 1967.
18. Кипшидзе Н.Н., Чаридзе Г.Э., - К вопросу лечения коронарной болезни сердца - Коронарная болезнь сердца. Матер. симп. г. Батуми 25-28 мая, 1967г.
19. Кипшидзе Н.Н., Чаридзе Г.Э., - К вопросу лечения острой и хронической коронарной недостаточности – В кн. Профилактика и лечение коронарной и сердечной недостаточности. г. Ленинград, 1967г.
20. Кипшидзе Н.Н. – Значение атеросклероза в патогенезе инфаркта миокарда – Современные проблемы патогенеза и терапии артериальной гипертонии и атеросклероза. Тез. докл. XXV годич. научн. сессии посвящ. 75-лет. со дня рожд. А.Л. Мясникова, г. Москва 27-29 января 1975г.
21. Кипшидзе Н.Н. – Психический стресс и сердечно-сосудистые заболевания – Тезисы докладов симпоз. по прединфарктному состоянию. Чехословакия г. сливач, 1966г.

წინაგულთა თრთოლვასა და წინაგულთა ფიბრილაციას (ციმციმს) შორის მსგავსებები და განსხვავებები

*დ. ჩანტლაძე, თ. კაციაშვილი, ნ. ხუციშვილი, ხ. ნოდია
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ მედიცინის ფაკულტეტი*

წინაგულთა თრთოლვის (წო) ელექტროკარდიოგრაფიული მოდელი (რომელიც მოიცავს წინაგულების რეგულარულ აქტივობას სიხშირით 240-დან 340-მდე დარტყმა/წუთში, როგორც წესი იზოელექტრული პერიოდების ჩართვის გარეშე) ასახავს წო-ს დომინანტურ მაკრო reentry ელექტროფიზიოლოგიურ მექანიზმს, და განასხვავებს მას წინაგულთა ფიბრილაციისაგან (წზ). თუმცა, არსებობს ძლიერი კლინიკური დამოკიდებულება წო-სა და წზ-ს შორის. ერთ ავადმყოფს შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა დროს ორივე ტიპის არითმიის [1] პაროქსიზმები. ცნობილია ანტიარითმიული პრეპარატები, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია არაორგანიზებული წზ-ის უფრო მოწესრიგებულ ფორმაში გარდაქმნა. ხოლო პაციენტებს, რომლებსაც წო-ს სამკურნალოდ ჩატარებული აქვთ წარმატებული აბლაცია, შესაძლოა შემდგომში განუვითარდეთ მოციმციმე არითმია.

ამ ორ რითმის დარღვევას შორის დამოკიდებულების ზუსტი ხასიათი არ არის სრულად შესწავლილი. წზ-ს წო-დ სპონტანური გარდაქმნის დროს წზ-ს ციკლის სიგრძე იცვლება სწორედ წო-ს განვითარების წინ. წზ-მ შეიძლება გამოიწვიოს წინაგულების ქსოვილის ელექტროფიზიოლოგიური რემოდელირება და ხელი შეუწყოს ტიპიური წო-ს reentry წრის განვითარებას და შენარჩუნებას [2]. წო, თავის მხრივ, შეიძლება გადავიდეს მოციმციმე არითმიაში, თუ ციკლის ხანგრძლივობა საკმარისად მოკლეა იმისათვის, რომ პროვოცირება გაუწიოს ფიბრილაციურ გამტარებლობას. ეს განსაკუთრებით რეალურია ატიპიური წო-ის შემთხვევაში. ფილტვის ვენებიდან წამოსული ექტოპიური იმპულსები წარმოადგენენ სავალდებულო ტრიგერებს წო-ს რეენტრი წრის აქტივაციისთვის და ასევე მონაწილეობენ წო-ს წზ-ად გარდაქმნაში. ზოგიერთ პაციენტში წო და წზ შეიძლება ერთდროულადაც კი აღმოცენდეს [3].

კლასიკურ წო-ს (აგრეთვე ცნობილია, როგორც ტიპიური ან საათის ისრის საწინააღმდეგო წო) იწვევს მარჯვენა წინაგულში წარმოქმნილი მაკრო reentry წრე. ამ დროს ტალღა აღწევს წინ – წინაგულთაშუა ძვიდეს, ქვემოთ – მარჯვენა წინაგულის თავისუფალ კედელს და კავოტრისკუსპიდურ ყელს. კლასიკურად, ელექტროკარდიოგრამაზე ეს გამოიხატება II, III და AVF განხრებში თრთოლვის უარყოფითი ხერხისებრი ტალღების სახით, და ამავე დროს, V₁ განხრაში თრთოლვის დადებითი ხერხისებრი ტალღების სახით. შებრუნებული ტიპური წო-ის დროს (აგრეთვე ცნობილია როგორც წო) საათის ისრის მიმართულებით) მოქმედებს ანალოგიური წრე, მაგრამ უკუმიმართულებით. შესაბამისად, ელექტროკარდიოგრამაზე ეს წარმოქმნის თრთოლვის დადებით ტალღებს II, III და AVF განხრებში, და ამავე დროს V₁ განხრაში თრთოლვის უარყოფით ხერხისებრი ტალღებს. ატიპიური ეწოდება წო-ს ისეთ სახეებს, რომლებსაც აქვთ ნაკლებად დამახასიათებელი მაკრო reentry ტალღები და წინაგულოვანი აქტივაციის სხვაგვარი ელექტროკარდიოგრაფიული გამოხატულება. წარმოდგენილ სტატიაში ტერმინი – წო გამოყენებულია ზოგადი სახით და მოიცავს ყველა ზემოთაღნიშნულ ელექტროფიზიოლოგიურ მექანიზმს.

რეკომენდაციები:

ფარმაკოლოგიური მართვა:

- როდესაც წო-ს მქონე პაციენტებისთვის არჩევანს ვაკეთებთ მედიკამენტურ მკურნალობაზე, უპირატესობა უნდა მიენიჭოს სტრატეგიას გულის შეკუმშვათა სიხშირის (ბშს) კონტროლით ან სტრატეგიას რითმის კონტროლით.
- ფარმაკოლოგიური აგენტები, რომლებიც გამოიყენება გშს-სა და რითმის კონტროლის მიზნით, მსგავსია წო-ს და წზ-ს დროს.
- თუ წო-ის სამკურნალოდ არჩევანი გაკეთდა IC ან IA კლასის ანტიარითმიულ პრეპარატზე, მასთან ერთად აუცილებლად უნდა დაინიშნოს AV-მაბლოკირებელი მედიკამენტი.

როგორც VO -ს, ასევე VZ -ს დროს ფარმაკოლოგიური მკურნალობა შესაძლოა მიზნად ისახავდეს ან პარკუჭების შეკუმშვათა სისძირის კონტროლის მიღწევას (სტრატეგია ბ Z -ს კონტროლით) ან სინუსური რითმის აღდგენასა და შენარჩუნებას (სტრატეგია რითმის კონტროლით). იმის გამო, რომ ბ Z -ს კონტროლი უფრო ძნელად მიიღწევა VO -ს მქონე პაციენტებში, ვიდრე VZ -ს დროს, რითმის მაკონტროლებელ სტრატეგიას ხშირად პირველად მიმართავენ. მიუხედავად ამისა, ამ სტრატეგიის უფრო მაღალი ეფექტურობა ბ Z -ს მაკონტროლებელ სტრატეგიასთან შედარებით ობიექტურად დამტკიცებული არ არის.

მაკრო reentry ტიპის VO -ს (იგულისხმება როგორც ტიპური, ასევე რევერსიული ტიპური VO) დროს გამოყენებული ანტიარითმული პრეპარატები ახანგრძლივებენ რეფრაქტერულ პერიოდს თვითონ reentry წრეში, თრგუნავენ ტალღის განვითარებას და ამ გზით ხელს უშლიან VO -ს გავრცობას და შენარჩუნებას. III კლასის ანტიარითმული პრეპარატები (ამიოდარონი, დოფეტილიდი, იბუტილიდი და სოტალოლი) ფართოდ გამოიყენება როგორც სინუსური რითმის აღდგენის, ასევე მისი შენარჩუნების მიზნით. VO -ს სწრაფად მოსახსნელად ყველაზე ეფექტური სავარაუდოდ იბუტილიდია [4]. IA კლასის (დისოპირამიდი, პროკაინამიდი და ქინიდინი) და IC კლასის (ფლეკაინიდი და პროპაფენონი) ანტიარითმული პრეპარატები ასევე შესაძლოა ეფექტური აღმოჩნდეს სინუსური რითმის აღდგენისა და შენარჩუნებისათვის.

ყველა ზემოთ აღნიშნული ანტიარითმული მედიკამენტური თერაპიის ნაკლს წარმოადგენს წამლით გამოწვეული პროარითმია. III კლასის პრეპარატებმა 1-4%-ში შესაძლოა გამოიწვიონ *torsade de pointes*. I კლასის პრეპარატებმა (განსაკუთრებით IC კლასი) შესაძლოა დრამატულად შეამცირონ თრთოლვის სისძირე იმ დონემდე, რომ AV კვანძი შემცირებულ თრთოლვას პარკუჭებამდე 1:1 სისძირით ატარებდეს, რაც მიგვიყვანს პარკუჭთა პასუხის სისძირის არსებით ზრდამდე [5]. შესაბამისად, პაციენტებმა, რომლებიც IC კლასის პრეპარატებით მკურნალობენ, იმავდროულად უნდა მიიღონ AV –მაბლოკირებელი მედიკამენტები. გამონაკლისს წარმოადგენს შემთხვევა, როდესაც პაციენტს შესუსტებული AV გამტარებლობა აღენიშნება.

როდესაც VO -ს თუ VZ -ს მკურნალობისას არჩევანს ვაჩერებთ სტრატეგიაზე ბ Z -ს კონტროლით, ეფექტურია წამლები, რომლებიც ახანგრძლივებენ AV კვანძის რეფრაქტერულ პერიოდს (ბეტა-ბლოკერები, ნონდიჰიდროპირიდინული კალციუმის არსების ბლოკერები და სათითურას პრეპარატები). თუმცა ბ Z -ს კონტროლი VO -ის დროს უფრო რთული მისაღწევია, ვიდრე VZ -ს მქონე პაციენტებში.

თრომბოემბოლიური რისკის მართვა:

- როგორც VO -ს, ასევე VZ -ს შემთხვევაში, სისტემური ემბოლიზაციის მაღალი რისკის მქონე პაციენტებმა ქრონიკულად უნდა მიიღონ ორალური ანტიკოაგულანტები.
- პაციენტებს ვარფარინის საშუალებით უნდა დაურეგულირდეთ INR-ის ციფრები სინუსური რითმის აღდგენამდე და აღდგენის შემდგომ (ფარმაკოლოგიური თერაპიით, ელექტრული კარდიოვერსიით თუ კათეტერული აბლაციით) 3 კვირის განმავლობაში. თუმცა, კარდიოვერსიის ჩატარება შესაძლებელია წინასწარი ხანგრძლივი ანტიკოაგულაციის გარეშე, თუკი ტრანსეზოფაგური ექოკარდიოგრაფიული კვლევა ემბოლიზაციის დაბალ რისკს გვიდასტურებს. ასეთ შემთხვევაში პაციენტები უნდა იტარებდნენ არაუმცირეს 4 კვირიან ანტიკოაგულანტურ თერაპიას.

დღეისათვის არ არსებობს არცერთი რანდომიზებული კვლევა, რომელიც დაგვიდასტურებს ანტირომბული სტრატეგიის ეფექტურობას წინაგულთა VO -ს მქონე პაციენტებში. მაგრამ მრავლად არის მონაცემები, რომელთა მიხედვით, VO -ს მქონე პაციენტებში აღინიშნება თრომბოემბოლიურ გართულებათა მომატებული რისკი. ამ რისკის სტრატეგიული ტრადიციული რისკ-ფაქტორების საფუძველზე ხორციელდება. ესენია: ასაკი 65 წელზე ზემოთ, მარცხენა პარკუჭის სიტოლური დისფუნქციის კლინიკური გამოვლინება, ჰიპერტენზია და შაქრიანი დიაბეტი ანამნეზში ან წარსულში გადატანილი რაიმე თრომბოემბოლიური მოვლენა.

თრომბოემბოლიის რისკი განსაკუთრებით მაღალია VO -ს სინუსურ რითმში გადასვლის შემდეგ. ერთ-ერთი კვლევის მიხედვით, ემბოლიზაციის რისკი ასევე მაღალია იმ

პაციენტებში, რომელთაც V0-სთან ერთად პერიოდულად აღენიშნებათ მოციმციმე არითმიის პაროქსიზმები. მომატებული რისკი შეიძლება გამოვლინდეს აგრეთვე კათეტერული აბლაციის დროს, რომელიც ტარდება წინაგულთა თრთოლვის მოსახსნელად. პაციენტები წინაგულთა თრთოლვით და დაქვეითებული მარცხენა წინაგულის ფუნქციით ასევე განიხილებიან თრომბოემბოლიური გართულებების მაღალი რისკის მქონე ჯგუფში [6-7]. საბოლოოდ, დაკვირვების ქვეშ მყოფ პაციენტთა ერთ-ერთმა სერიამ ნათელყო, რომ არცერთი პაციენტი, რომელმაც გადაიტანა პოსტკარდიოვერსიული თრომბოემბოლია, არ იღებდა ვარფარინს ან იმყოფებოდა სუბოპტიმალურ ანტიკოაგულაციას. ამის საპირისპიროდ, ადეკვატური ანტიკოაგულაციის პირობებში მყოფ არცერთ პაციენტს არ გადაუტანია თრომბოემბოლიური გართულება [9]. ვარფარინზე არჩევანის შეჩერების შემთხვევაში INR-ის სამიზნე დონე 2.0-3.0 ტოლია.

კათეტერული აბლაცია:

- კათეტერული აბლაცია სიმპტომური V0-ს დროს შესაძლოა შემოთავაზებულ იქნას როგორც პირველადი სამკურნალო ღონისძიება და წარმოადგენდეს მედიკამენტური თერაპიის ყველაზე გონივრულ ალტერნატივას.
- მიუხედავად ოპტიმალური მედიკამენტური თერაპიისა, AV კვანძის აბლაცია შემდგომი მუდმივი პეისინგით შეიძლება გამოვიყენოთ წინაგულთა თრთოლვიანი პაციენტებისთვის, იმ შემთხვევაში თუ სამკურნალო აბლაცია არაეფექტურია.

კავორტიკუსპიდური ისთმუსის (ყელის) აბლაცია უსაფრთხო და ეფექტური მიდგომაა ისთმუს-დამოკიდებული V0-ს სამკურნალოდ. ფართო, პროსპექტულმა, რანდომიზებულმა კვლევამ გამოავლინა ისთმუსის აბლაციის უპირატესობა ანტიარითმულ მედიკამენტურ თერაპიასთან შედარებით, რაც გამოიხატება სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესებაში და მომავალში წინაგულთა თრთოლვის კვლავ განვითარების ნაკლებ რისკში [10]. ერთ-ერთმა უნიცენტრულმა კვლევამ, დაადგინა კათეტერული აბლაციის უსაფრთხოება და ეფექტურობა ასაკოვან პაციენტებშიც კი.

მიუხედავად კათეტერული აბლაციის უპირატესობებისა V0-ს მქონე პაციენტთა სამკურნალოდ, წარმატებული აბლაციის შემდეგ განვითარებული მოციმციმე არითმიის ადრეული და გვიანი შემთხვევები ერთნაირია. V0 ანამნეზში, მაღალი ხარისხის მიტრალური რეგურგიტაცია და მარცხენა პარკუჭის სისტოლური დისფუნქცია – ყოველივე ეს ქმნის ეფექტური აბლაციის შემდგომ V0-ს განვითარების წინაპირობას. აქედან გამომდინარე, V0-ს ამ გზით მკურნალობა შესაძლოა არ მიესადაგებოდეს პაციენტებს შემდგომში V0-ს განვითარების მაღალი რისკით, თუ, რა თქმა უნდა, არ აღინიშნება ანტიარითმული მედიკამენტური თერაპიის უეფექტობა [11]. ამჟამად შესწავლის პროცესშია „ჰიბრიდული“ სტრატეგიები, რომლებიც ითვალისწინებს პეისინგის, ანტიარითმული მედიკამენტების, ისთმუსის აბლაციის და ფილტვის ვენების იზოლაციის კომბინაციას. აღნიშნული სტრატეგიები სავარაუდოდ მოერგებათ ორივე ტიპის რითმის დარღვევის (V0 და V0) მქონე პაციენტებს [12].

იმ შემთხვევაში, თუ წარუმატებელია როგორც მედიკამენტური თერაპია, ასევე ისთმუსის აბლაცია, პაციენტებს პრობლემური წინაგულთა თრთოლვით უნდა ჩაუტარდეთ AV კვანძის აბლაცია იატროგენული ატრიოვენტრიკული ბლოკადის გამოსაწვევად, პარალელურად მუდმივი პეისმეიკერის იმპლანტაციით პარკუჭში.

ელექტრული კარდიოვერსია:

- V0-ს და V0-ს დროს კარდიოვერსიის ჩატარების ჩვენებები ერთნაირია. მსგავსია ასევე კარდიოვერსიის ტექნიკაც.

V0-ს ელექტრული კარდიოვერსია საკმაოდ უსაფრთხო, ეფექტური და ეკონომიური პროცედურაა. პაციენტებს, რომლებსაც აღენიშნებათ V0-ს მწვავე შეტევა და რომლებიც არასტაბილური არიან, სწრაფად უნდა ჩაუტარდეთ კარდიოვერსია სინქრონიზებული დენის ენერჯით, ისევე როგორც V0-ს დროს. შედარებით სტაბილურ პაციენტებს შესაძლოა ჩაუტარდეთ გეგმიური კარდიოვერსია, რა თქმა უნდა, წინასწარი ანტიკოაგულაციური თერაპიის შემდეგ (INR-ის სულ მცირე 3 კვირიანი კონტროლით). ასევე მნიშვნელოვანია პოსტკარდიოვერტიული ანტიკოაგულაცია.

ერთადერთი განსხვავება V0-სა და V0-ს კარდიოვერსიას შორის არის რეკომენდირებული საწყისი ენერჯია. მრავალი ავტორი მოგვიწოდებს საწყის ენერჯიას 50 ჯოულს. თუმცა, ეს რეკომენდაციები ერთეულ შემთხვევებს ეფუძნება. ერთ-ერთმა კვლევამ [11] აჩ-

ვენა საწყის ენერგიად 100 ჯოჯის გამოყენების უპირატესობა 50 ჯოჯთან შედარებით. 100 ჯოჯი ამცირებს დარტყმების რაოდენობას და პირველი შოკი წარმატებულია შემთხვევათა 85%-ში (განსხვავებით 50 ჯოჯი საწყისი ენერგიისა, სადაც შედეგიანობა 70%-ია). სხვა კვლევამ [13], რომლის შესწავლის საგანს წარმოადგენდნენ ხანგრძლივი დროის მანძილზე (30 და მეტი დღის წინ დაწყებული) ოფ-ს მქონე პაციენტები, აჩვენა რომ პირველი შოკის ეფექტურობა 68%-ია.

ატრიპიური წინაგულთა თრთოლვა:

პაციენტებს არსებითად გადაგვარებული წინაგულთა ელექტროფიზიოლოგიით, მათ შორის, გულის თანდაყოლილი მანკით და გადატანილი გულის ოპერაციით, შესაძლოა განუვითარდეთ ატრიპიური ოფ. Reentry წრეები შესაძლოა წარმოიქმნას წინაგულთაშუა ძგიდის დეფექტის გარშემო, ატრიოტომიის მიდამოში, სარქველების, ღრუ ვენების და ფილტვის ვენების მიდამოში. ახალი ტექნოლოგიები [14] საშუალებას იძლევა დაიხაზოს ეს წრეები და ჩატარდეს კათეტერული აბლაცია, რომელიც ეფექტური იქნება ასეთი კომპლექსური არითმიების დროს.

Similarities and Differences Between Atrial Flutter and Atrial Fibrillation

L.Chantladze, T.Kaciashvili, N.Khucishvili, Kh.Nodia
Iv. Javakhishvili Tbilisi State University, Faculty of Medicine

Atrial flutter and atrial fibrillation have a complex relationship that has mechanistic, diagnostic, therapeutic and prognostic components. While thromboembolic risk management and pharmacological strategies share many similarities, there are important differences. Radiofrequency ablation should be considered to be early, first-line alternative to pharmacological strategies for many patients with atrial flutter.

ლიტერატურა:

1. Waldo AL. Atrial flutter. In: Podrid PJ, Kowey PR, eds. Cardiac Arrhythmia: Mechanisms, Diagnosis, and Management, 2nd edn. Baltimore: Williams & Wilkins, 2001:501-16.
2. Ortiz J, Niwano S, Abe H, Rudy Y, Johnson NJ, Waldo AL. Mapping the conversion of atrial flutter to atrial fibrillation and atrial fibrillation to atrial flutter. Insights into mechanisms. Circ Res 1994;74:882-94.
3. Horvath G, Goldberger JJ, Kadish AH. Simultaneous occurrence of atrial fibrillation and atrial flutter. J Cardiovasc Electrophysiol 2000;11:849-58.
4. Volgman AS, Carberry PA, Stambler B, et al. Conversion efficacy and safety of intravenous ibutilide compared with intravenous procainamide in patients with atrial flutter or fibrillation. J Am Coll Cardiol 1998;31:1414-9.
5. Roden DM. Risks and benefits of antiarrhythmic therapy. N Engl J Med 1994;331:785-91.
6. Wood KA, Eisenberg SJ, Kalman JM, et al. Risk of thromboembolism in chronic atrial flutter. Am J Cardiol 1997;79:1043-7.
7. Hernandez Madrid A, Pena Perez G, Gonzalez Rebollo JM, et al. [Systemic embolism after reversion to sinus rhythm of persistent atrial flutter]. Rev Clin Esp 2003;203:230-5.
8. Elhendy A, Gentile F, Khandheria BK, et al. Thromboembolic complications after electrical cardioversion in patients with atrial flutter. Am J Med 2001;111:433-8.
9. Natale A, Newby KH, Pisano E, et al. Prospective randomized comparison of antiarrhythmic therapy versus first-line radiofrequency ablation in patients with atrial flutter. J Am Coll Cardiol 2000;35:1898-904.
10. Loutrianakis E, Barakat T, Olshansky B. Early versus late atrial fibrillation after atrial flutter ablation. J Interv Card Electrophysiol 2002;6:173-80.
11. Prakash A, Saksena S, Krol RB, et al. Catheter ablation of inducible atrial flutter, in combination with atrial pacing and antiarrhythmic drugs ("hybrid therapy") improves rhythm control in patients with refractory atrial fibrillation. J Interv Card Electrophysiol 2002;6:165-72.

12. Olshansky B, Kerber RE. Cardioversion of atrial flutter. In: Waldo AL, Touboul P, eds. Atrial flutter: Advances in Mechanisms and Management. New York: Futura Publishing
13. Cosio FG, Pastor A, Nunez A, Montero MA. How to map and ablate atrial scar macroreentrant tachycardia of the right atrium. Europace 2000;2:193-200.

პაროდონტიტი და მისი კავშირი ენდოთელიუმის სტრუქტურულ ორგანიზაციასთან მწვავე ინფარქტის დროს

*ნ. ლობჯანიძე, ნ. ხვიციანი, გ. დანელია, თ. ლობჯანიძე
ზუგდიდის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი,
შპს “ქუთაისის რეგიონალური სტომატოლოგიური ცენტრი”*

სისხლძარღვთა კედლის ენდოთელიუმი პისტოლოგიურად წარმოადგენს ბრტყელი უჯრედების ფენას, რომელიც წარმოიშვება მეზენქიმიდან და არეგულირებს პროლიფერაციას, მიგრაციას, სისხლძარღვთა ტონუსს, ტრანსკაპილარულ განვლადობას, სკაფელონგურ ფუნქციას და სხვა ადგილობრივ ჰემოსტაზურ პროცესებს. იგი წარმოქმნის აზოტის ოქსიდს, რომელიც ხელს უწყობს გლუვი კუნთების ტონუსის დაქვეითებას, აქტიურ მონაწილეობას დებულბოს არამარტო ვაზოდილატაციაში, არამედ ვაზოკონსტრიქციაშიც. ენდოთელიუმი, როგორც ქსოვილოვანი სტრუქტურა ასრულებს მრავალ ფუნქციას ჩვენს ორგანიზმში და ამავდროულად ქმნის ახალ წარმოდგენებს მთელ რიგ კარდიოლოგიურ დაავადებათა პათოგენეზზე. პირის ღრუს ადგილობრივი ჰომეოსტაზის მრავალმხრივი დარღვევები და სხვა აუტოიმიუნურ დაავადებათა გავრცელება, მათ შორის ტრანსკაპილარული განვლადობა და პაროდონტიტის ანთებითი პროცესები დაკავშირებულია ენდოთელიუმის დისფუნქციასთან. მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემებით, პაროდონტიტი არის ფართოდ გავრცელებული დაავადება, რომელიც მოხრდილ მოსახლეობის თითქმის 100% მოიცავს. პაროდონტიტის დროს ზიანდება სისხლძარღვოვანი რგოლები, იცვლება უჯრედული და ჰუმორული იმუნიტეტის ციტოტოქსიურობა, რაც ხელს უწყობს ადამიანის ორგანიზმში დამცველობითი ფუნქციის დაქვეითებას. თანამედროვე ლიტერატურიდან ჩანს რომ არსებობს აბსოლუტური კორელაცია პირის ღრუს ჰიგიენის ინდექსსა და პაროდონტიტის (პირის ღრუს ანთების დაავადებათა) გავრცელების და გულ-სისხლძარღვთა დაავადების კლინიკური სურათის სიმძიმეს შორის. პირის ღრუში მიკროორგანიზმები და ცხოველქმედების პროდუქტები არღვევენ დამცველობითი ფუნქციის მექანიზმებს და ამით ქსოვილებში იწვევენ სხვადასხვა სიმძიმის პათოლოგიურ პროცესებს. აქედან გამომდინარე პირის ღრუს მდგომარეობისა და ენდოთელიუმის დისფუნქციის შესწავლა წარმოადგენს პერსპექტიულ მიდგომას გულ-სისხლძარღვთა მთელი რიგი დაავადებების პათოგენეზის უკეთ შესწავლის თვალსაზრისით, მათ შორის გულის იშემიური დაავადებათა და მათ გართულებათა პროფილაქტიკისა და მკურნალობის მიზნით. აქედან ჩნდება წარმოდგენა ენდოთელიუმზე, ქსოვილის სტრუქტურაზე, რომელიც ასრულებს მრავალ ფუნქციას ჩვენს ორგანიზმში და ამავდროულად ქმნის ახალ წარმოდგენას მთელ რიგ დაავადებების პათოგენეზზე და ამ შემთხვევაში – სხვადასხვა კარდიოლოგიურ დაავადებაზე.

პაროდონტიტი არის ფართოდ გავრცელებული დაავადება. მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემებით, ამ დაავადებით დაავადებულია თითქმის 100% მოხრდილი მოსახლეობა.

პაროდონტიტის დროს ზიანდება იმუნიტეტის სხვადასხვა რგოლები, იცვლება უჯრედული და ჰუმორალური იმუნიტეტის ციტოტოქსიურობა. ყველაფერი ეს მნიშვნელოვნად ხელს უწყობს ადამიანის ორგანიზმში დამცველობითი ფუნქციის დაქვეითებას. როგორც ლიტერატურიდან ჩანს, არსებობს აბსოლუტური კორელაცია პირის ღრუს ჰიგიენის ინდექსის, პაროდონტიტის ანთებითი დაავადების გავრცელებასა და კლინიკური სურათის სიმძიმის შორის. მიკროორგანიზმები და მათ ცხოველქმედების პროდუქტები არღვევენ პირის ღრუს დამცველობით მექანიზმებს და ამით პაროდონტიტის ქსოვილში იწ-

ვევენ სხვადასხვა პათოლოგიურ პროცესებს. ბაქტერიული ენდოტოქსინები კომპლემენტთან ურთიერთქმედებისას იწვევენ ანთებით და იმუნურ პროცესებს პაროდონტიში, ხოლო ხანგრძლივი დაავადების პერიოდის დროს შეიძლება გამოიწვიონ აუტოიმუნური პროცესები. პაროდონტიტი მუდმივად უწყობს ხელს პირის ღრუს ჰიგიენის ინდექსის საკმაოდ დაბალი მაჩვენებლების განვითარებას, იწვევს ორგანიზმის იმუნოლოგიური სტატუსის ცვლილებებს. პაროდონტიტი თრგუნავს იმუნურ მექანიზმს, ორგანიზმს უფრო მგრძობიარეს ხდის ინფექციის მიმართ და ხელს უწყობს სხვადასხვა დაავადებების უფრო მძიმე მიმდინარეობას (მაგალითად, გულის დაავადებებს). აქედან გამომდინარე პაროდონტიტის შესწავლა მნიშვნელოვან ინტერესს წარმოადგენს, მითუმეტეს თუ გავითვალისწინებთ, რომ პირველ რიგში ამ დაავადების დროს ირღვევა ისეთი ფუნქციონალური შესაძლებლობა, როგორცაა ადგილობრივი ჰომეოსტაზი, ტრანსკაპილარული განვლადობა და ა.შ. ზემოთ აღნიშნული ცვლილებები დაკავშირებულია ენდოთელიუმთან, რადგანაც ენდოთელიუმი არის არა მარტო ბარიერი ან ფილტრი, არამედ აქტიური ენდოკრინული ორგანოა, რომელსაც შეუძლია მნიშვნელოვანი სუბსტანციების სინთეზი, ტონუსის რეგულაცია, მეტაბოლიზმი, ადჰეზიის რეგულაცია, სისხლის ფორმიანი ელემენტების აგრეგაცია, ამავედროულად ენდოთელიუმი ძალიან მგრძობიარეა დაზიანების მიმართ (S. Toddei et al, 2006). როგორც მიუთითებს H.Healy (2006), ენდოთელიუმი არეგულირებს ადგილობრივ ჰომეოსტაზს, ჰემოდინამიკას, არეგულირებს ტრანსკაპილარულ განვლადობას, ასრულებს პინოციტოზურ ფუნქციას და ა.შ. აქედან გამომდინარე, ჩნდება წარმოდგენა ენდოთელიუმის შესახებ, როგორც ქსოვილზე, რომელიც პასუხისმგებელია ორგანიზმში მრავალი პროცესის შერწყმასთან. J.Chin et al. (2006) თანახმად, ენდოთელიუმს შეუძლია დაუდოს დასაწყისი მთელი რიგის დაავადებების პათოგენეზის მოლეკულური მიზეზების ჩამოყალიბებაში.

მიღებული მონაცემები მიუთითებენ, რომ ენდოთელიუმის შესწავლა პაროდონტიტის დროს ხელს შეუწყობს გააუმჯობესოს მკურნალობის მიმართულება და პროფილაქტიკა, ასევე “დამცველობითი” საშუალებების გაზრდა, ჟანგვითი პროცესების გაუმჯობესება და ა.შ. სწორედ ზემოთქმული წარმოდგენს პრობლემის აქტუალობას.

კვლევის მიზანს შეადგენს ენდოთელიუმის სტრუქტურული ორგანიზაციის შესწავლა პაროდონტიტის დროს, გულით დაავადებულ ავადმყოფებში მკურნალობის ეფექტურობის ზრდის მიზნით.

დასახული მიზნის მისაღწევად შესწავლილია 40 ავადმყოფი. ისინი იყვნენ დაყოფილი ორ ჯგუფად: პაროდონტიტი + მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტი (35 ადამიანი – პირველი ჯგუფი), პაროდონტიტით დაავადებული ავადმყოფები (10 ადამიანი – მეორე ჯგუფი) და 5 – პრაქტიკულად ჯანმრთელი ადამიანი.

თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში ვიღებდით (ბიოფსიური მასალა) პატარა ღრძილის ქსოვილს, მასალა ფიქსირდებოდა, უწყლოვანდებოდა და შემდეგ ყალიბდებოდა სინათლის მიკროსკოპისთვის პარაფინში და ელექტრონული მიკროსკოპისთვის – ეპონში, იყო გამოყენებული სინათლის მიკროსკოპი – ფოტომიკროსკოპი-III და ელექტრონული მიკროსკოპი – BS-500, სინათლისა და ელექტრონული მიკროსკოპის გამოყენებით შეისწავლდებოდა ენდოთელიუმის უჯრედები, კერძოდ: ბირთვი, ციტოპლაზმა, მათი ურთიერთკავშირი, ბაზალური მემბრანა. ყურადღებას ვაქცევდით პერიციტებს და ადვენციტურ უჯრედებს (სურ. 1).


ცნობილია, რომ სისხლძარღვების კედლების გამტარებლობის ცვლილებები გავლენას ახდენს ცალკეულ ორგანოებისა და მთელი ორგანიზმის სტრუქტურულ-ფუნქციურ ურთიერთმოქმედებაზე და უპირველეს ყოვლისა სწორედ იმუნური სისტემის შესაძლებლობებზე. აქედან გამომდინარე, მკურნალობა მოქმედებს არა მარტო სტრუქტურაზე, არამედ ფუნქციის შეცვლაზე. ჩვენს მიერ შესწავლილი მასალა გვიჩვენებს, რომ სტრუქტურული თვალსაზრისით, პაროდონტიტი, რომელიც მიმდინარეობს ავადმყოფებში მწვავე ინფარქტის ფონზე ენდოთელიუმის უჯრედების ციტოსტრუქტურა განსხვავდება იმ შემთხვევებიდან, როდესაც ბრტყელი ეპითელიუმი იყო აღებული ავადმყოფებიდან, ვისაც ინფარქტი არ ჰქონდათ. ეს განსხვავება დაკავშირებულია ისეთ მაჩვენებლებთან, როგორცაა მიტოქონდრიების ზომა და რიცხვი, გოლჯის აპარატი, ენდოპლაზმური ბადე, რიბოსომების განლაგება, მათი აგლუტინაცია, ციტოპლაზმის მატრიქსის შეფერილობა, რაც თავის მხრივ დაკავშირებულია ციკლოზის სურათთან. ბირთვის მხრივ

აღინიშნება ჰეტეროქრომატინის სხვაობა (რაც განისაზღვრება მის რაოდენობაში, განლაგებაში და მის სიმსხვილეში). ქრომატინის განაწილება მნიშვნელოვან როლს ასრულებს ბირთვულ-პლაზმურ ურთიერთობაში. აღინიშნება პინოციტური ბუშტუკების განლაგება, რაც მიუთითებს დიფუზიის სხვადასხვა სიჩქარეზე. განსხვავება აგრეთვე ეხება ბაზალურ მემბრანას, მის სისქეს, პარაპლაზმოლემას. აღნიშნული სტრუქტურები რაოდენობრივი თვალსაზრისითაც ასევე არაერთგვაროვანია.

ჩვენს მიერ შესწავლილი მასალა კიდევ ერთხელ გვიჩვენებს, რომ თანხლები დაავადება (პაროდონტიტი) როგორ მოქმედებს კაპილარებზე, მის კედელზე (სურ. 2). ენდოთელიუმის დისფუნქცია წინ უსწრებს მთელ რიგ მძიმე დაავადებების წარმართვას.



სურ. 1



სურ. 2

სურ. №1. პაროდონტიტი მწვავე ინფარქტის დროს. სისხლძარღვის კაპილარი. დარღვეულია უჯრედის ენდოთელიუმი. ელექტრონოგრაფია 25.000X.

სურ. №2. პაროდონტიტი მწვავე ინფარქტის დროს. დარღვეულია სისხლძარღვის კედლის მთლიანობა და აღინიშნება კაპილარის ობლიტერაცია. ელექტრონოგრაფია 30.000X.

მორფოლოგიური მონაცემებიდან დაყრდნობით მიღებული იყო გარკვეული განსხვავება ენდოთელიოციტების სუბსტრუქტურაში, ენდოთელიუმის დაზიანებას მოჰყვება

ორგანიზმის ჰომეოსტაზის დისბალანსი. ამასთან ერთად, ენდოთელიუმის დაზიანების შედეგად შესაძლოა მთელი რიგი ტოქსიკური ნივთიერებების გამოყოფა. აქედან გამომდინარე, პირის ღრუს მდგომარეობისა და ენდოთელიუმის დისფუნქციის შესწავლა წარმოადგენს პერსპექტიულ მიდგომას, გულ-სისხლძარღვთა მთელი რიგი დაავადებების, მათ შორის გულის იშემიური დაავადებების პათოგენეზის უკეთ შესწავლის, მოსალოდნელ გართულებათა და მკურნალობის თვალსაზრისით.

Parodontitis and Its Connection with Its Structural Organization against Acute Myocardial Infarction

*N. Lobzhanidze, N. Khvitia, G. Danelia, T. Lobzhanidze
Zugdidi Independent University, Kutaisi Regional Stomatological Center*

The structural of endotelies have been studied in paradontitis complicated by acute myocardial in bfarct. The structure of endotelies in paradontitis without the accompanying disease has been symultancously studied for the control purpose. It was found out that accompanying disease (acute myocardial infarct) influences the endothelial cells, structurally destroying them more and more. The material has been studied with the help of light and electronic microscopes.

ლიტერატურა:

1. Toddei S. et all. Pathology and pathophysiology of heard diseases. JAMA, № 2, p. 131, 2006.
2. Healy H. Endothelial cell dysfunction. J. Am Coll. cardiol., № 6, p. 357, 2000.
3. Chin J., Dart A. – Therapeutic restorations of endothelial function. J. Clin. E#xp. Arch. № 9, p. 748, 2006.

გულის უკმარისობის სინდრომით მიმდინარე დაავადებათა რეტროსპექტიული ანალიზი საქართველოს ზოგიერთი რეგიონის 2005-2009 წწ. ავადმყოფობის ისტორიათა კვლევის საფუძველზე

მ. როგავა, თ. ბოჭორიშვილი*, ქ. კაპანაძე*, ვ. დანელია**,
ო. ხუროშვილი**, ა. ქავუარაძე***
აკად. ნ. ყიფშიძის სახ. თერაპიის ეროვნული ცენტრი*,
ქ. რუსთავის ცენტრალური საავადმყოფო**,
შპს ოზურგეთის კლინიკური საავადმყოფო****

ქრონიკული გულის უკმარისობა სადღეისოდ მედიცინის ერთ-ერთ უმძიმეს და გააუჭრელ პრობლემად რჩება. 60 წელს გადაცილებულ მამაკაცთა 11,5%, რომელიც თავს ჯანმრთელად გრძნობს და გულ-სისხლძარღვთა დაავადებისათვის დამახასიათებელი რაიმე ნიშნები არ გააჩნია, მხოლოდ დატვირთვის ტესტის ჩატარების დროს აღენიშნებათ ქრონიკული გულის უკმარისობის (ქგუ) საწყისი ეტაპისათვის დამახასიათებელი ნიშნები [2]. გულის უკმარისობის სინდრომი (გუს) მთელი მოსახლეობის 3%-ს აღენიშნება. 65 წელს გადაცილებულ მოსახლეობაში კი თითქმის 15%-ს აღწევს. გქუ სინდრომის მქონე პირებში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა მამაკაცთა შორის 1,7 წელს შეადგენს, ხოლო ქალებში 3,2-ს [1]. საქართველოში გულის უკმარისობის სინდრომის გამოვლენის სრულყოფილი სტატისტიკა დღესდღეობით არ არსებობს. საქართველოს კარ-

დიომიოპათიის საზოგადოება 2000 წლიდან [3,4] და აკად. ნოდარ ყიფშიძის სახელობის თერაპიის ეროვნული ცენტრის კარდიომიოპათიის განყოფილება განაგრძობს ქვეყნის ცალკეულ რეგიონებში სტაციონარულ და ამბულატორიულ ავადმყოფთა ისტორიის რეტროსპექტრულ ანალიზს. ამჟამად გთავაზობთ ქალაქ რუსთავის 2005-2009 წლების და 2006–2009 წლების გურიის რეგიონების: ჩოხატაურის, ოზურგეთის და ღანჩხუთის სამედიცინო ცენტრებში არსებულ სტაციონარულ ავადმყოფთა ისტორიების რეტროსპექტრულ ანალიზს.

ქ. რუსთავის (2005-2009 წწ) და გურიის რეგიონის (2006-2009წწ) საავადმყოფოთა კარდიოლოგიური და თერაპიული პროფილის განყოფილებების ამბულატორიულ და სტაციონარულ ისტორიებში ფიქსირებული ნოზოლოგიები მოცემულია ცხრილში: №1,2-ში.

რუსთავში 2005-2009წწ კარდიოლოგიურ და თერაპიულ განყოფილებაში რეგისტრირებულ ავადმყოფთა მთლიანმა რაოდენობამ შეადგინა 4696, აქედან კარდიოლოგიური ნოზოლოგიით გატარებული იყო 3270. გულის უკმარისობის სინდრომი აღენიშნებოდა 538 (11,5%), მათგან 228 (42%) ქალი, 310 (56%) მამაკაცი. გულის უკმარისობის სიმძიმე განსაზღვრული იყო სტრატეგიკო-ვასილენკოს კლასიფიკაციის მიხედვით: I ხარისხის უკმარისობის მქონე ავადმყოფი არ იყო რეგისტრირებული, II ხარისხის უკმარისობა აღენიშნებოდა 238 (44%) ავადმყოფს, ხოლო III ხარისხის უკმარისობა 300 (54%) ავადმყოფს (ცხრილი №3). რითმის მოშლა აღენიშნებოდა 395 (73%), აქედან მოციმციმე არითმია 151 (38%), ექსტრასისტოლური არითმია 43 (11%), სინუსური ტახიკარდია 57 (14%), სხვა სახის მოშლა 81 (20%), გამტარებლობის მოშლა 63 (15%) (ცხრილი №4).

გურიის რეგიონის საავადმყოფოების მონიტორინგით (2006-2009წწ) გამოვლინდა, რომ კარდიოლოგიური ნოზოლოგიით რეგისტრირებული ავადმყოფების მთლიანმა რაოდენობამ შეადგინა 6040. აქედან მარცხენა პარკუჭის მწვავე უკმარისობა 91 (1,5%), მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტი 259 (4,2%), გიდ არასტაბილური სტენოკარდია 1092 (18%), გულის უკმარისობა II-III ხარ. 390 (6,4%), არტერიული ჰიპერტენზია 3570 (59%), კარდიომიოპათია 1, თანდაყოლილი მანკი 1 (ცხრილი №1).

ცხრილი №1: გურიის რეგიონის პაციენტთა მონაცემები 2006-2009 წწ.

№	ნოზოლოგიის დასახელება	გატარებულ ავადმყოფთა რაოდენობა		
		2006 წ.	2007 წ.	2008 წ.
1	მარცხენა პარკუჭის მწვავე უკმარისობა	6	19	66
2	მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტი	76	86	97
3	გიდ. არასტაბილური სტენოკარდია	302	410	380
4	გიდ. გუ. II – III ხარისხის	146	121	123
5	ჰიპერტონიული კრიზი	64	46	51
6	არტერიული ჰიპერტენზია	1256	1203	1111
7	პაროქსიზმული ტაქიკარდია	118	141	164
8	არტერიული ჰიპოტონია	24	25	27
9	კარდიომიოპათია	1		
10	გულის თანდაყოლილი მანკი	1		
11	სულ კარდიოლოგიური ნოზოლოგიების მიხედვით გატარებული ავადმყოფები	1994	2033	2013
12	ლეტალობა აღნიშნული ნოზოლოგიების მიხედვით	25	23	23

ცხრილი №2: რუსთავის საავადმყოფოების მონაცემები 2005-2009 წწ.

№	ნოზოლოგიის დასახელება	2005	2006	2007	2008	2009
1.	მარცხენა პარკუჭ. მწ. უკმარისობა	50	27	66	54	58
2.	მიოკარ. მწ.ინფარქტი	33	38	33	29	48
3.	გიდ. არასტაბილური	19	20	10	11	4
4.	გ.უ. II-III ხარისხი	89	93	151	109	96
5.	არტ. ჰიპერტენზია	49	36	66	51	38
6.	პარ. ტაქიკარდია	-	-	-	-	50
7.	კარდიომიოპათია	1	4	4	4	2
8.	ქრ.ობსტრუქციული დაავადება	3	4	6	7	4
9.	პნევმონია	2	3	3	2	1
10.	ღიაბეტი	12	11	11	11	14
11.	მოციმციმე არითმია	35	28	39	31	20
12.	მანკები	1	1	4		
13.	ექსუდ. პერიკარდიტი	-	-	2	-	-
14.	პარკუჭთა ფიბრილაცია	2	-	3	-	1
15.	სულ კარდიოლოგიური ნო-ზოლოგიის მიხედვით გატარებული ავადმყოფები	453	602	834	742	639
16.	აქედან გულის უკმარისობით მიმდინარე დაავადებებში	89	93	151	109	96
17.	ლეტალობა გულის უკმარისობით მიმდინარე დაავადებებში	6	2	2	9	9

ცხრილი №3: გულის უკმარისობის ხარისხი (რუსთავი)

სტრატეგიკო-ვასილენკის კლასიფიკაცია	მამაკაცი	ქალი	სულ
II ხარისხის უკმარისობა	155	83	238
III ხარისხის უკმარისობა	145	155	300

ქ. რუსთავის საავადმყოფოების ისტორიათა დამუშავებამ აჩვენა, რომ პაციენტთა ასაკი მერყეობდა 18-დან 94 წლამდე. ავადობის გამოვლენისა და მიმდინარეობისათვის ყველაზე კრიტიკული ასაკია 60-75 წლები (ცხრილი №5), ამასთან გულის უკმარისობის სინდრომით შეპყრობილ მამაკაცებში უფრო ხშირად ვლინდება და მეტი სიხშირით გვხვდება არტერიული ჰიპერტენზია, ვიდრე ქალებში, რაც მამაკაცთა პოპულაციაში, ალბათ, მანე ჩვევების და არაჯანსაღი ცხოვრების წესის არსებობის მეტი სიხშირით აიხსნება.

ცხრილი №4: რითმის და გამტარებლობის დარღვევები გულის უკმარისობიან ავადმყოფებში (რუსთავში).

რიტმის მოშლის სახე	მამაკაცი	ქალი	სულ
მოციმციმე არითმია	76	55	131
ექსტრას. არითმია	26	17	43
სინუსური ტაქიკარდია	22	35	57
პაროქს. ტაქიკარდია	13	2	15
კვანძოვანი რითმი	5	9	12
სუპრავენტ. ტაქიკ.	16	19	35
წინაგ. თრთოლვა	12	8	20
პარკუჭ. ფიბრილაცია	9	3	11
ბრადიკარდია	-	-	-
ბლოკადა: AV-იხ.	39 ჰისის, 4 AV, 1 ფედ. სინდრომი	24 ჰისის, 3 AV.	63 ჰისის, 7 AV, 1 ფედ. სინდრომი

ცხრილი №5: პაციენტების ასაკი (რუსთავი)

პაციენტების ასაკი	მამაკაცი	ქალი	სულ
19 და ნაკლები	1		1
20-დან 29-მდე	1	1	2
30-დან 39-მდე	5		5
40-დან 49-მდე	27	3	30
50-დან 59-მდე	77	27	104
60-დან 69-მდე	93	52	145
70-დან 79-მდე	117	121	238
80-დან 89-მდე	33	32	65
90 და მეტი			

სტაციონარში ყოფნის დროს გარდაიცვალა გულის უკმარისობის მქონე 28 პაციენტი (ქ. რუსთავის მონაცემებით). აქედან 13 პაციენტში გარდაცვალების მიზეზი იყო მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტის შემდგომი გართულებები: 6 ავადმყოფს აღენიშნებოდა წინაგულების თრთოლვა (სიკვდილის უშუალო მიზეზი კარდიოგენური შოკი), 1 ავადმყოფს განუვითარდა მოციმციმე არითმიის ბრადისისტოლური ფორმა (სიკვდილის უშუალო მიზეზი ასისტოლია), 8 ავადმყოფს აღენიშნებოდა არტერიული ჰიპერტენზია (სიკვდილის უშუალო მიზეზი იყო გულის მზარდი უკმარისობა შაქრიანი დიაბეტი ტიპი II-ს ფონზე). გურიის რეგიონის სტაციონარების მონიტორირებით დაფიქსირდა ლეტალობის 22 შემთხვევა (ცხრილი №6)

ცხრილი №6: ლეტალობის მიზეზები გურიის რეგიონის მოსახლეობაში

ლეტალობის მიზეზი	2006	2007	2008
გულის მწვავე უკმარისობა	1	2	
მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტი	1	5	5
თ/ტ სისხლის მიმოქცევის მოშლა	3	2	1
არტერიული ჰიპერტენზია	1		

სამწუხაროდ, ავადმყოფობის ისტორიის მონაცემთა საფუძველზე ვერ მოხერხდა გულის უკმარისობის სინდრომის გამოვლენის ხანგრძლივობისა და სტაციონარში განმეორებითი ჰოსპიტალიზაციის სიხშირის შეფასება, როგორც გურიის რეგიონის, ასევე რუსთავის საავადმყოფოებში. №7 ცხრილში მოცემულია სხვადასხვა ხარისხის გუის მქონე პაციენტთა საწოდლებების რაოდენობა, რომელიც საშუალოდ შეადგენს 10 დღის ხანგრძლივობას თვითეული პაციენტისათვის.

ცხრილი №7: საწოდლებების რაოდენობა (რუსთავი) გულის უკმარისობიან პაციენტებში (სტრატეგისკო-კოვალეკოს კლასიფიკაციით).

დღე	მამაკაცი				ქალი				სულ
	I	II	III	სულ	I	II	III	სულ	
1	-	10	7	17	-	7	4	11	28
2	-	46	38	84	-	36	8	44	128
3	-	30	40	70	-	19	34	53	123
4	-	-	5	5	-	12	6	18	23
5	-	14	9	23	-	9	9	18	41
6	-	7	8	15	-	23	12	35	50
7	-	38	41	79	-	30	29	59	138
8	-	-	-	-	-	-	-	-	
9	-	5	-	5		-	-	-	5
10	-	-	3	3	-	2	-	-	5
11	-	-			-	-	1	-	1

გულის უკმარისობის სინდრომით შეპყრობილი 538 პაციენტიდან 205 იყო გულის იშემიური დაავადების გენეზის (მათგან 91 (45%) ქალი, 114 (55%) მამაკაცი), შაქრიანი დიაბეტი, როგორც თანმხლები დაავადება, აღენიშნა 34 (6,3%) პაციენტს, არტერიული ჰიპერტენზია - 107 (19%), ვირუსული მიოკარდიტი - 1 (0,2%), რევმოკარდიტი - 2 (0,3%), დილატაციური კარდიომიოპათია - 15 (2,7%) ავადმყოფს (ცხრილი №8).

ცხრილი №8: გულის იშემიური დაავადებით გამოწვეული გულის უკმარისობის სინდრომის თანხვედრა სხვა დაავადებებთან (რუსთავი)

ნოზოლოგია	მამაკაცი	ქალი	სულ
შაქრიანი დიაბეტი	13	21	34
არტერიული ჰიპერტენზია	40	67	107
ვირუსული მიოკარდიტი		1	1
რევმოკარდიტი	1	1	2
დილატაციური კარდიომიოპათია	11	4	15

რუსთავის ცენტრალურ საავადმყოფოში კარდიოლოგიისა (3268 ისტორია) და თერაპიის (1428 ისტორია) განყოფილებაში ჩატარებული რატროსპექტული კვლევისას სულ შესწავლილი იყო 4696 ავადმყოფობის ისტორია, რომელიც 2005-2009წწ იყო წარმოებულ. ამათგან გულის უკმარისობის სინდრომით აღიწერა 538. შემთხვევა (ცხრილი №9,10).

ცხრილი №9: რუსთავის სტაციონარში ავადმყოფთა 2005-2009 წლების ისტორიების რეტროსპექტრული ანალიზი

გულის უკმარისობის სინდრომით მიმდინარე დაავადებები	538 (%)
გ.ი.დ.	187
არტერიული ჰიპერტენზია	240
შაქრიანი დიაბეტი	59
მიოკარდიტები, კარდიომიოპათიები	3 15
მანკები	6

ცხრილი №10: რუსთავში 2005-2009 წლებში დიაგნოსტირებული ზოგიერთი დაავადების სიხშირე

დიგნოზი	ქალი	მამაკაცი	ასაკი	სულ
მიოკარდიტი	2	0	27-34	1
დკმ	6	9	19-60	15
ჰკმ	0	0	0	0
გულის მანკები	-	-	20-65	6

არსებული მონაცემების მიხედვით სტაციონარში მოხვედრის სიხშირის შედარებითი ნაკლებობის გათვალისწინებით ყოველწლიურად რუსთავის ჰოსპიტალიზირებულ ავადმყოფთა საშუალო რაოდენობა დაახლოებით 550 კაცს შეადგენს, ამათგან წლიურად გუს გამოვლენილი იყო დაახლოებით 108 შემთხვევა. მოსახლეობის რაოდენობის გათვალისწინებით (200000) ეს ციფრი საკმაოდ სავალალო მდგომარეობაზე მიუთითებს. რაც შეეხება განმეორებითი ჰოსპიტალიზაციის შემთხვევებს, შეფასება ვერ მოხერხდა ისტორიების არასრულფასოვნების გამო. მთლიანობაში გუს ავადმყოფებში რითმის მოშლა აღენიშნებოდა შესწავლილიდან 395 ავადმყოფს. ყოველწლიურად რუსთავში დიაგნოსტირდებოდა საშუალოდ რითმის დარღვევის 40 შემთხვევა (ცხრილი №11).

რეგიონში შესწავლილი ხუთწლიანი მონაცემების საფუძველზე წარმოვადგენთ მეტად საინტერესო და აქტუალური დაავადებების (კარდიომიოპათიები და მიოკარდიტები) გავრცელების სიხშირეს (ცხრილი №9). მთლიანად მიოკარდიტების დიაგნოსტირება მოხდა მხოლოდ 2 შემთხვევაში, ამდგან რეგმოკარდიტის დიაგნოზი დაისვა 3 შემთხვევაში, ხოლო კარდიომიოპათიის დიაგნოზი 15 შემთხვევაში.

ცხრილი №11: რითმის მოშლის გავრცელების სიხშირე (რუსთავი)

რიტმის მოშლის სახეები	395სულ	
მოციმციმე არითმია	131	%
ექსტ. არითმია	43	%
პაროქსიზმული ტაქ.	50	%
პარკუჭოვანი ფიბრილაცია	11	%

აუცილებლად მიგვაჩნია მიუთითოდ, რომ მიოკარდიტები თავისთავად არცთუ იშვიათ დაავადებების რიცხვს ეკუთვნიან. არამარტო ანამნეზური, არამედ სათანადო კლინი-

კო-ლაბორატორიული და ინსტრუმენტული მეთოდების გამოყენების და მიღებულ მონაცემთა ადექვატური შეფასების შემთხვევაში. უნდა ვივარაუდოდ, რომ ეს ციფრი გაცილებით მეტი იქნებოდა. გასათვალისწინებელია აგრეთვე ინფექციურ-ვირუსული დაავადებების პროგრესული მატება, რომელზეც მიოკარდიტების განვითარების მაღალი რიცხვი მოდის. ამის ვარაუდის საფუძველს გვაძლევს დღესდღეობით რეგიონულ კლინიკებში აღნიშნული დაავადებების დიაგნოსტიკების დაბალი სიხშირე ჩვენს კლინიკურ მონაცემებთან შედარებით. მეორეს მხრივ საფულისხმოა, რომ XX საუკუნის ბოლო წლები რევმატიზმის ხელახალი ტალღის გავრცელების პერიოდია. ამდენად, რევმოკარდიტების სიხშირე სათანადო და დროული შესწავლის პირობებში ვფიქრობთ არ იქნებოდა მცირე რიცხოვანი სხვა გულ-სისხლძარღვთა დაავადებებს შორის. გულის უკმარისობის ანამნეზური ხანგრძლივობის შესწავლა შეუძლებელი იყო რუთავში (ცხრილი №12).

ცხრილი №12: გულის უკმარისობის სინდრომის გამოვლენის ანამნეზური ხანგრძლივობა (რუსთავი)

დიაგნოზი	1 თვემდე	3-6 თვემდე	1 წლამდე	2-5 წლამდე	5-10 წლამდე	10 წ. და მეტი
გ.ი.დ				51	79	80
ლეტალობა				-	-	-
არტერიული ჰიპერტენზია				67	71	102
ლეტალობა				-	-	-
შაქრიანი დიაბეტი				15	33	26
ლეტალობა				-	-	-
მიოკარდიტები, კარდიომიოპათიები			1 დკმ, 2 მკ	9	4	1
ლეტალობა				-	-	-

გულის უკმარისობის ყველაზე ხანგრძლივი ანამნეზი – 10 წელი და მეტი გამოვლინდა გიდ-ს შემთხვევაში 80 (15%), ხოლო 5-დან 9 წლამდე 79 (14%). არტერიული ჰიპერტენზიის დროს გუს სიხშირე ანამნეზის 5 წლიანი ხანგრძლივობისას შემთხვევათა 71 (13%-)ს შეადგენდა, 2-დან 5 წლამდე 67 (12%)-ში, კარდიომიოპათიების შესახებ შეგვიძლია ვთქვათ, რომ დაავადების 0,7%-ში გუს-ის გამოვლენის ანამნეზური ხანგრძლივობა იყო 2-5 წლამდე 9 (1,6%)-ში, 1- კი 1 წლამდე ხანგრძლივობა. დაავადებების შემთხვევების 5 წელზე მეტი დროის ანამნეზით გამოვლინდა 5 (0,9%), (ცხრილი №12).

ქ. რუსთავში და გურიის რეგიონში ჩატარებული კვლევების მიხედვით ვერ მოხერხდა დკმ-ში მიოკარდიტების ტრანსფორმირების შემთხვევათა რაოდენობის დადგენა ისტორიებში მწირი ინფორმაციის არსებობის გამო, აგრეთვე, საყურადღებოა, რომ რუსთავში 5 წლის მანძილზე დკმ-ის მხოლოდ 15 შემთხვევა დაფიქსირდა, ხოლო გურიის რეგიონში კი – 1. ამის საფუძველზე ვფიქრობთ, რომ ურიგო არ იქნებოდა მეტი ყურადღება დაეთმოს აღნიშნულ დაავადებების გავრცელების შესწავლას, რადგან დროულ დიაგნოსტიკასა და მკურნალობაზე დამოკიდებული ამ მიმე დაავადებების პროგნოზი. რუსთავის მოსახლეობის გათვალისწინებით (200 000) გულის უკმარისობით მიმდინარე დაავადებათა სიხშირემ 2005-2009წწ.-ში შეადგინა 538 (0,27%), ხოლო გურიის მოსახლეობის საერთო რაოდენობიდან (70 000) 390 (0,5%) ადამიანმა მიმართა საავადმყოფოებს გულის უკმარისობის სინდრომისათვის დამახასიათებელი ჩივილებით (2006-2009წწ).

ზოგადად, რუსთავისა და გურიის რეგიონების ავადმყოფობის ისტორიების საერთო რაოდენობის (10 736 ავადმყოფი) რეტროსპექტულმა ანალიზმა გამოავლინა გულის უკმარისობის სინდრომით მიმდინარე კორონაროგენული და არაკორონაროგენული და-

ავადებების მატების ზოგადი ტენდენცია 2455 შემთხვევა (22,87%). ამათგან კარდიომიოპათიებმა შეადგინა 0,65%, ხოლო – მიოკარდიტებმა – 0,29%.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ქ. რუსთავისა და გურიის რეგიონის ავადმყოფობათა ისტორიების რეტროსპექტულმა ანალიზმა ვერ ასახა გულ-სისხლძარღვთა დაავადებათა და მათ ნოზოლოგიათა რეალური გავრცელების სისწორე, რაც აფერხებს გულის უკმარისობის სინდრომით მიმდინარე დაავადებათა პრევენციული ღონისძიებების მართვას, უარყოფითად აისახება უახლოეს გამოსავალსა და შორეულ პროგნოზზე. როგორც ამ დაავადებათა ზრდის ტენდენცია, რასთანაა იგი დაკავშირებული, არსებობს თუ არა დაავადების პრევენციის შესაძლებლობები და რამდენად რეალურია იგი?

მივიჩნევთ, რომ აუცილებელია ფართო საზოგადოების, განსაკუთრებით კი პაციენტებისა და მათი ოჯახის წევრების განათლება კვების რაციონის, ჯანსაღი ცხოვრების წესის, დღის რეჟიმისა და იმ დაავადებათა პროფილაქტიკის შესახებ, რომლის განვითარების შემთხვევებში ვლინდება გულის დისფუნქცია, სიცოცხლისათვის მეტად საშიში მწვავე ან ქრონიკული გულის უკმარისობის სინდრომი, რაც შესაძლებელია გახდეს უეცარი სიკვდილის, რეფრაქტერული და მზარდი გულის უკმარისობით გამოწვეული ლეტალობის მიზეზი.

რეგიონებში (სამეგრელო, გორი, რუსთავი, გურია) ჩატარებულმა ავადმყოფობის ისტორიათა რეტროსპექტულმა ანალიზმა გამოავლინა ისტორიის წარმოებისა და დიაგნოზის ვერიფიცირების არასრულფასოვნების საერთო პრობლემური საკითხები, რაც მედ-პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებას, ნოზოლოგიათა სტანდარტული კვლევის ალგორითმის შემუშავებასა და დანერგვის საჭიროებას მოითხოვს ჯანდაცვის სისტემის მხარდაჭერით [4].

Retrospective Analyze of Diseases with Heart Failure Syndrome Based on the Study of the Cases in Several Regions Of Georgia in 2005 – 2009

M. Rogava, T. Bochorishvili*, K.Kapanadze*, V. Danelia**, I. Xuroshvili**, A. Kavzharadze***
Acad. N. Kipshidze National Center of Therapy*,
Rustavi Central Clinic **, Ozurgeti Clinical Hospital ****

The published data revealed increasing annual trend in incidence of cardiovascular non-coronary diseases. The heart disease retrospective study, held in Rustavi and Guria regions has shown that in 10736 patients, hospitalized during 5 years, 2455 (22,87%) had heart failure syndrome, and 0.65% among them were diagnosed as cardiomyopathy, and 0.29% - as myocarditis (except for rheumocarditis). Today there are no preventative measures of these diseases in Georgia. Based on our case studies, we can conclude that the degree of verification of these diseases is extremely low, which is caused not only by the social-economic reasons, but also by specific diagnostic difficulties. Therefore, we suggest that above mentioned diseases are topical enough and need appropriate attention in terms of elaboration of preventative measures, diagnosing and treatment worldwide and in Georgia, because prompt diagnosing and appropriate treatment are indisputably in positive relation with life expectancy and the quality of life.

ლიტერატურა:

1. Kannel W.B, Belanger A. J. Epidemiology of heart failure Am. Heart J. 1991; №121; 951-957.
2. Ольбинская Л. И. Фармакотерпия сердечной недостаточности М; 1995 -123 с;
3. ვირუსული მიოკარდიტებისა და კარდიომიოპათიების შემთხვევათა ანალიზი ქ. თბილისის კლინიკების მონაცემთა საფუძველზე - მ როგავა, ლ. ქობლიანიძე, ნ. ნოდია, თ გიგაური, კ. ნადარია, კ. ლილუაშვილი, თ ბოჭორიშვილი, ნ. პატარია. თერაპიის ეროვნული ცენტრი. კარდიოლოგია და შინაგანი მედიცინა №1.
4. მ. როგავა, მ. ქანთარია, ქ. ხაბელაშვილი, თ. ბოჭორიშვილი – გულის უკმარისობის სინდრომით მიმდინარე დაავადებათა რეტროსპექტული ანალიზი საქართველოს ზოგიერთი რეგიონის 1996-2003წწ. ავადმყოფობის ისტორიათა კვლევის საფუძველზე - კარდიოლოგია და შინაგანი მედიცინა XXI, 2005წ №1, გვ.43-51.

კრონის დაავადების ჩვეული და იშვიათი ფორმები

**ხ.პატკორია, ს.ქემოკლიძე, ე.ადაშია, ნ.ბასიშვილი, მ. კიკვიძე, ტ.ციციშვილი,
ნ.კეკელიძე, თ. შაშიაშვილი, ლ.ძნელაძე**
აკად.ნიკოლოზ ყიფშიძის სახელობის თსუ ცენტრალური კლინიკა

იშვიათი დაავადებები დიდი კლინიციის ციურიხის უნივერსიტეტის შინაგანი მედიცინის კლინიკის დირექტორის, რობერტ ჰეგლინის შეხედულებით იშვიათად გვხვდება და ამიტომ მათ ნაკლები ყურადღება უნდა მიექცეს (1961წ.). საპირისპირო აზრი გამოთქვა არანაკლებ ცნობილმა კლინიციისტმა ევგენი ტარევემა. მისი აზრით, იშვიათი დაავადებები იმიტომ არის იშვიათად გამოვლენილი, რომ პრაქტიკოს ექიმთა უმრავლესობამ ნაკლებად იცის მათ შესახებ: – „იშვიათი დაავადებები ბუნების ექსპერიმენტებია და მათი გამოცნობა პრაქტიკოს ექიმებს დაეხმარება, გაამდიდრონ თავიანთი კლინიკური გამოცდილება“, – წერდა ე. ტარევეი.

დრომ დაამტკიცა მოსკოველი დიდმკურნალის შეხედულების სისწორე. მოვიტანთ ერთ მაგალითს: კისტოზური ფიბროზი (მუკოვისციდოზი) დიდხანს ითვლებოდა იშვიათ დაავადებად (2000 ახალშობილზე ერთი შემთხვევა). ავადმყოფთა უმრავლესობა ადრეულ ასაკში იღუპებოდა რესპირატორული და პანკრეოუკმარისობის გამო. ამიტომ 20 წელზე ზემოთ კისტოზური ფიბროზი უფრო იშვიათად გვხვდებოდა. ყოველი ასეთი მოზრდილი ავადმყოფი კისტოზური ფიბროზით კაზუისტიკად ითვლებოდა (ა.გ. გუკასიანი, 1968წ.) იმ დროისთვის მსოფლიოში მათი გამოვლენის რიცხვი 200-ს არ ასცილებია. საკმარისი იყო ამ იშვიათი დაავადებებისადმი არაპედიატრებს – ინტერნისტებს, პულმონოლოგებს, გულმკერდის ქირურგებს და გასტროენტეროლოგებს მეტი ყურადღება გამემახვილებინათ, რომ მდგომარეობა დრამატულად შეცვლილიყო: 2008 წლისთვის მსოფლიოში გამოვლენილია კისტოზური ფიბროზის (მუკოვისციდოზის) მილიონზე მეტი შემთხვევა – აქედან მოზრდილთა (20 წელზე ხნიერ) ავადმყოფთა რიცხვმა გადააჭარბა ბავშვთა ასაკის პაციენტთა რიცხვს! ამის საფუძველი კი პრაქტიკოს ექიმთა მეტი გათვითცნობიერებაა ამ იშვიათი დაავადების კლინიკური სურათის მრავალფეროვნებაში.

ჩვენს მიერ გამოვლენილ კისტოზური ფიბროზით დაავადებულთა რიცხვმა გადააჭარბა 40-ს! ამათგან ორმა გადააცილა 70-ს! ერთი მათგანი 71 წლის მამაკაცია, ხოლო მეორე – 72 წლის ღიზა ჩხაიძე – ყველაზე ხნიერ ავადმყოფად შეიძლება ჩაითვალოს მსოფლიოში (ინტერნეტი, 2010).

ამ ერთი დაავადების მაგალითზე ნათლად ჩანს, რა დიდი მნიშვნელობა აქვს „იშვიათი დაავადების კლინიკური ფორმების მრავალფეროვნების ცოდნას და როგორ შეიძლება „იშვიათი დაავადებები“ გადაიქცნენ ჩვეულ (კარგად ცნობილ) სნეულებებად, რომელთა დიაგნოზი გაადვილებულია.

წინამდებარე სტატია მიზნად ისახავს კრონის დაავადებების ჩვეული და იშვიათი კლინიკური ფორმების გაცნობას სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებისა და პრაქტიკოსი ექიმებისათვის.

სამწუხაროდ, პრაქტიკოს ექიმთა უმრავლესობა დღემდე ფიქრობს, რომ კრონის დაავადება ზედმიწევნით იშვიათად გვხვდება და მისი დიაგნოსტიკა მხოლოდ ლაპარატომიის დროსაა შესაძლებელი, როცა მწვავე აპენდიციტის ნაცვლად ნახულობენ თეძოს ნაწლავის ტერმინალური მონაკვეთის ნეკროზს, ანუ ტერმინალურ ილეიტს. ეს რომ მცდარი შეხედულებაა, იმითაც მტკიცდება, რომ კრონის დაავადების დროს ანთებითი ცვლილებები არ შემოიფარგლება მხოლოდ ტერმინალური ილეიტით, არამედ ის მოიცავს კუჭ-ნაწლავის ნებისმიერ მონაკვეთს, დაწყებული პირის ღრუდან, დამთავრებული ანუსამდე! ამავდროს, აღწერილი 100-მდე გართულება კრონის დაავადების დროს (ჯ.კირსნერი, 1995). ყოველივე ამის გათვალისწინება აადვილებს კრონის დაავადების ადრეულ გამოვლენას, რაც წარმატებული მკურნალობის საწინდარია.

თავდაპირველად შევეხებით კრონის დაავადების ჩვეულ კლინიკურ ფორმებს, რომელთაგან ყველაზე ადვილი გამოსაცნობია პირის ღრუს ღორწოვანის ე.წ. აფთოზური წყლულები ენაზე, ლოყაზე, ტუჩებზე, სასახეზე. ჩვენს მასალაზე ამგვარი ორალური „ნიღბები“ შეგვხვდა 40%-მდე შემთხვევაში.




Fig. 1. Aphthous ulcers in Crohn's disease (Kh. Pachkoria, M. Iverieli, M. Vasadze, M. Gabashvili, L. Aruthinova, N. Shengelia, L. Tsintsadze, A. Murmanishvili, 1980-2010)

All rights reserved!
Reproduction or copyright of any part of this atlas is unlawful
without written permission of the author (Kh. Pachkoria)



Fig. 2.



Fig. 3.



Fig. 4.

Fig.2. Erythematous pyoderma in Crohn's disease. Before treatment with prednisone (left) and after successful treatment (right).

Fig.3. Sjogren syndrome in Crohn's disease. Before treatment with prednisone (left) and after successful treatment. Note important diminished enlarged parotid glands (Kh. Pachkoria, N. Basishvili, 2004).

Fig.4. Melkersson-Rosenthal syndrome (swollen and enlarged) upper lip and tongue (right lateral side) in Crohn's disease (Kh. Pachkoria, M. Kikabidze, 2010).



Fig. 5



Fig. 6




Fig. 7

Fig.5. Multiple perianal fistules in Crohn's disease (Gela Mukhashavria et al 1989).

Fig.6. Gangrenous pyoderma in Crohn's disease before (left) and after treatment with predlinizone (Kh. Pachkoria, N. Turmanidze, 1990).

Fig.7. Spontaneous enterocutaneous fistules (SEF) in Crohn's disease (S. Kemoklidze, Kh. Pachkoria, et al 1998-2008)

All rights reserved!

Reproduction or copyright of any part of this atlas is unlawful without writter permission of the author (Kh. Pachkoria)



Fig. 8. Multiple perianal fistula and anthous ulcers in Crohn's disease before (left) and after treatment with Prednisone (right). (Kh. Pachkoria et al. 2004)



Fig. 9. Genitale Crohn's disease before (left) and after treatment with prednisolone (right). (Kh. Pachkoria, S. Laliashvili, 2005)

All rights reserved!
Reproduction or copyright of any part of this atlas is unlawful
without writter permission of the author (Kh. Pachkoria)




Fig.10. Boy aged 17 with subnamism (149 cm) malnutrition (34 kg weith), hypogonadism, erythematous glositis and Enterocutaneus flegmona

(S. Kemoklidze, Kh. Pachkoria 2010).

ქვემოთ მოყვანილია ჩვენი საკუთარი შემთხვევები (ხ.პაჭკორია, მ.ვასაძე, მ.გაბაშვილი, ლ.არუთინოვა, ნ.შენგელია, ა.მურმანიშვილი, ლ.ცინცაძე (1980-2010 წლები). უფრო ნაკლებად 20%-ზე გვხვდება პერიანალური ფისტულები. ქირურგიული მკურნალობა აღმოჩნდა სრულიად უშედეგო. ჩვენ შეგვხვდა ავადმყოფი პერიანალური ფისტულებით და გენიტალიების ავტოზური დაზიანებით მხოლოდ სტეროიდების (პრედნიზოლონის) და სულფასალაზინის მიღების შემდეგ მდგომარეობა მკვეთრად გაუმჯობესდა (ხ.პაჭკორია, თ.შაშიაშვილი, ტ.ცირეკიძე, ნ.თურმანიძე, ს.ლალიაშვილი - 2006წელი). საინტერესოა სპონტანური ენტერო-კუტანეური ფორმა, რომელიც გაიხსნასრულიად მოულოდნელად. აღსანიშნავია, რომ ერთ ავადმყოფს განუვითარდა ჩირქოვანი პერიკარდიტიც, რაც კრონის დაავადების მეტასტაზური ფორმით უნდა აიხსნას. შემდეგი შემთხვევა ეხება ახალგაზრდა ქალს, რომელსაც განუვითარდა მარჯვენა საზარდულის მიდამოში განგრენოზული პიოდერმიტი, მკურნალობა ქირურგიული მეთოდებით სრულიად უეფექტო აღმოჩნდა (გ.გვასალია, ნ.თურმანიძე, ვ.ქორიძე, ს.ლალიაშვილი 1991 წ.). მხოლოდ მას შემდეგ, რაც გამოირკვა, რომ ავადმყოფს აწუხებდა დიარეა წლების განმავლობაში, ართრალგიები, მცირე ცხელება, ეჭვი მიტანილი იყო კრონის დაავადებაზე. მას შემდეგ, რაც რედგენოგრაფიით დადგინდა სეგმენტური ენტერიტი აღნიშნული დიაგნოზი დადასტურებულად ჩაითვა და მკურნალობა პრედნიზოლონის მაღალი დოზებით აღმოჩნდა წარმატებული, რაც კარგად ჩანს სურათზე.

2010 წლის თებერვალში ჩვენ მოგვმართა 17 წლის ავადმყოფმა სუბნანიზმით (150 სმ.), მალნუტრიციზმით (35 კგ), ჰიპოკონადიზმით. ავადმყოფი 3 წლის განმავლობაში იმყოფებოდა ქირურგების მეთვალყურეობის ქვეშ. ეჭვი იყო მიტანილი ქრონიკულ აპენდიკულარულ ინფილტრატზე. ავადმყოფის მდგომარეობა პროგრესულად უარესდებოდა, დიარეიის ფონზე კლებულობდა წონაში და ვერ მოხდა სიმალდეში ზრდა. ჩვენს მიერ დემონსტრირებულია ავადმყოფში ენტერო-კუტანეული ფისტულის განვითარება ოთხ დღეში (ხ. პაჭკორია, ს. ქემოკლიძე, ლ. ძნელაძე, ნ. ბასიშვილი, ე. ადამია, ვ. ძნელაძე). ავადმყოფს პირველ ეტაპზე გაუკეთდა ჩირქგროვის გახსნა, სადაც აღმოჩნდა ნაწლავის ხერყლ-მილი გახსნილი კანში. გაიკეთა ჩირქგროვა და უახლოეს ხანში დაგეგმილია ნაწლავის რეზექცია. ასეთი ენტერო-კუტანეული ფისტულის განვითარების დინამიკა ლიტერატურაში ჩვენ არ შედგხვედრია. აღსანიშნავია, რომ კუჭ-ნაწლავის რენდგენოლოგიური კვლევით აღმოჩნდა კრონის დაავადებისადმი დამახასიათებელი წვრილი ნაწლავის სტენოზი და გრძელ ფეხზე ენტრო-კუტანეული ფისტულა.

ჩვენ გამოვავლინეთ პირველადი გენიტალური ფორმა, როდესაც 19 წლის სტუდენტ გოგონას (გაუთხოვარი), რომელსაც აღმოაჩნდა გარეთა სასქესო ორგანოების ჩირქოვანი დაზიანება. გამოირიცხა ვენერიული დაავადებები და ყურადღება გამახვილდა ართრალგიებზე, დიარეაზე, ცხელებაზე, პირის ღრუში არსებულ აპტოზურ წყლულებზე. ამის საფუძველზე კრონის დაავადების დიაგნოზი დასაბუთებულად ჩაითვა და მკურნალობა პრედნიზოლონით აღმოჩნდა შედეგიანი (ხ. პაჭკორია, ნ. თურმანიძე, ს. ლალიაშვილი, ნ. კეკელიძე, ტ. ცირეკიძე, ვ. ქორიძე 2004 წ.).

ჩვენ შეგვხვდა კრონის დაავადების იშვიათი ფორმები – წითელი მგლურას ნიღბით. ავადმყოფი მამაკაცი, 40 წლის, წლების მანძილზე იტანჯებოდა დიარეით, სახსრების ტკივილით, ცხელებით. ყურადღებას იპყრობდა სახეზე ერთემატოზურ-ჩირქოვანი გამონაყარი პეპელას ფორმით, რაც ეჭვს ბადებდა წითელ მგლურაზე. დერმატოლოგთან, რევმატოლოგთან და ფტიზიატრთან მკურნალობა უშედეგო იყო. ავადმყოფს ძალიან აწუხებდა ნაწლავის აშლილობა. გაკეთდა კუჭ-ნაწლავის R-გრაფია გამოვლინდა სეგმენტური ენტერიტი. კომპიუტერული ტომოგრაფიით აღმოჩნდა ენტერო-ენტერალური ფისტულა. ნაწლავის ბიოპტატის ჰისტო-მორფოლოგიური შესწავლით გამოვლინდა გრანულომატოზური ენტერიტი. ყოველივე ამან საშუალება მოგვცა დაგვესვა კრონის დაავადების დიაგნოზი (ხ.პაჭკორია, ლ.ძნელაძე, ე.ადამია, ტ.ცირეკიძე, ნ.ბასიშვილი, ნ. ალიბეგაშვილი, ი. თავზარაშვილი. 2005წ.). მკურნალობა პრედნიზოლონით აქაც აღმოჩნდა დადებითი, რაც კარგად ჩანს სურათზე.

შემდეგ წარმოვადგენთ 65 წლის ქალს, რომელიც წლების განმავლობაში უჩიოდა პირის სიმშრალეს, ენის ტკივილს, სკლერების ხშირ გაწითლებას, ასევე, ართრალგიებს, დიარეას, ტკივილს ილუოცეკალურ მიდამოში. მას გადიდებული აღმოაჩნდა ყბაყურა სანერწყვე ჯირკვლები, რაც კარგად ჩანს ექოსკოპიით. ჩვენს მიერ ეჭვი იქნა მიტანილი

სიოგრენის სინდრომზე, ასოცირებული კრონის დაავადებებთან (სეგიონული ენტერიტის სურათი რენტგენოლოგიურად!) მკურნალობა პრედნიზოლონით აქაც აღმოჩნდა დადებითი, რაც კარგად ჩანს სურათზე (ხ.პაჭკორია, ლ.ძნელაძე, ე.ადამია, ლ.ცინცაძე, ა.მურმანიშვილი, ნ.ბასიშვილი, ტ.ცირეკიძე, 2007-2009 წლები).

და ბოლოს შევხერდებით კრონის დაავადების კიდევ ერთ იშვიათ ნიღაბზე – მელკერსონ-როზენტალის სინდრომზე. ავადმყოფს ხშირად უსივდებოდა ზედა ტუჩი და ენა. ამავე დროს გამოხატული ჰქონდა ქრონიკული დიარეა, მცირე ცხელება, ართრალგიები (მ.კოკეიძე, ხ.პაჭკორია, 2010წ.). აღსანიშნავია, რომ 1980 წელს უნგრეთის სამედიცინო აკადემიის გამოცემულ ლ. შუგარის და თანაავტ. მიერ გამოცემულ წიგნში (პირის ღრუს დაავადებები) აღწერილია ტუჩების გრანულომატოზური ანთება. აღსანიშნავია, რომ 2010 წლის ინტერნეტ გამოცემაში პირდაპირ მითითებულია მელკერსონ-როზენტალის სინდრომი, როგორც კრონის დაავადების წინამორბედი. ორივე მათგანს ერთი საერთო მორფოლოგიური სუბსტრატი გრანულომატოზური ანთება უდევს საფუძვლად. ამ პაციენტს ხშირად ემართებოდა შეკრულობა, რომელიც იცვლებოდა დიარეით. ალერგოლოგის მიერ გამორიცხული იქნა ალერგიული დაავადება.

ამრიგად, შევეცადეთ გვეჩვენებინა თუ რა კლინიკური ნიღბები (ჩვეული და იშვიათი) შეიძლება წინ უსწრებდეს კრონის დაავადების მანიფესტირებას.

Common and Uncommon (rare) Clinical Forms in Crohn's Disease

Kh. Pachkoria, S. Kemoklidze, E. Adamia, N. Basishvily, M. Kikvidze, T. Tsirekidze, T. Shashiashvili, N. Kekelide, L. Dzeladze
Tbilisi State University central clinic Georgia

The authors revealed common and uncommon (rare) clinical forms in crohn's disease. The common clinical masks including oral aphthous ulcers, enterocutaneous fistula, fistulas and gangrenouspyoderma. Rare clinical masks including genital from Crohn's disease, lupus erythematosus like and Syogreens syndrome, and Melcersol-Rozental sindromes.

ლიტერატურა:

1. ხ. პაჭკორია, ლ. ძნელაძე, ე. ადამია, ლ. ცინცაძე, ა. მურმანიშვილი, ნ. ბასიშვილი, ტ. ცირეკიძე – 2007-2009 წწ.
2. kisner I.B. shorster R.G. “Infammatori bowel diseass Fourth edit” 1995.
3. ხ. პაჭკორია თანაავტორობით. “კრონის დაავადების დიფერენციალური დიაგნოზი”. კარდიოლოგია და შინაგანი მედიცინა XXI. 2003: №3, გვ.90-97.
4. ხ. პაჭკორია თანაავტორობით. 70 წელი კრონის დაავადებიდან. კარდიოლოგია და შინაგანი მედიცინა XXI. 2002: №2, გვ.86-91.
5. ხ. პაჭკორია თანაავტორობით. დიფერენციალური დიაგნოზის სიმკვლეები კრონის დაავადების დროს. „საქართველოს ომის ვეტერანთა კლინიკური ჰოსპიტალის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომები, თბილისი 2005. გვ. 188-190.
6. Itta M. Minderhould et al “What predicts mucosal inflammation in Crohnis disease inflammm”. bowel disease. 2007. vol 13, number 12.
7. Bassam I. et al “Pericarditis as the initial manifestation of inflamatori bower disease. chest 1994, 106, 1911-1912.
8. Pechan I. et al Enterovesical fistulas in crohnis disease. Bratisl lek. listy 2007, 108(7): 307-308.
9. თ. ახმეტელი, ხ. პაჭკორია, ლ. ძნელაძე, კრონის დაავადება ნაწლავური მრავალი გართულებებით. კლინიკური და ექსპერიმენტული მედიცინის აქტუალური საკითხები. V სკოლა-კონფერენცია. შრომათა კრებული, 24-25. მაისი 2003. გვ. 17-18.
10. С. П. Тревис и др. в книге «гастроентерология» перев С англисково Москва, медицинская литература 2002, стр. 356-389.

11. Г. Ю. Аглер. «Болезн в Крона и язвенный колит» перев. С немецкого, 2001.
12. В книге «Грануломатозный Хеилит при синдроме Мелькерсона-Розендала».
13. Л. Шугар и др. в книге «Заболевания полости рта». academia kiado. Будапешт 1980 стр. 167-168.
14. Washadze N. et al Malkerson-Rosental syndrome and Crohn's disease. Br. Y. oral surgery 1980. vol 18. №3. pp:259-256.
15. Scheper H. Brands oral aspects of Crohn's disease Ynt. Dental 7. 2002. vol 53. №3. pp 163-179.

სტრესი – XXI საუკუნის სენი

ნ. პაპიძე

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სტრესი ინგ. სიტყვაა და ნიშნავს დაძაბულობას. “XX საუკუნის კომმარი”, “კაცობრიობის წყევლა”, “ყველაზე დიდი მკვლეელი”, “XXI საუკუნის სენი” – მას ასეთი ეპითეტებით ნათლავენ. პრობლემა რომლის წინაშე ცივილიზაცია უძღურია, რამდენადაც თვითონაა მისი გამომწვევი. სტრესი თანამედროვე საზოგადოების დაავადებაა. ტერმინი „სტრესი“ მედიცინაში დამკვიდრდა – კანადელი მეცნიერის ჰანს სელიეს მიერ. ტერმინი აღებულია გეოლოგიიდან და იხმარება დედამიწის პლასტებს შორის დაძაბულობის აღსანიშნავად. სელიემ აჩვენა, რომ სტრესი წარმოადგენს ნებისმიერი მოთხოვნის საპასუხოდ აღძრულ ორგანიზმის არასპეციფიკურ პასუხს. სელიეს მიხედვით „სტრესი“ წარმოადგენს გარეგან გამღიზიანებელთა მიმართ ორგანიზმის ადაპტაციური (შეგუებით-დაცვითი) ხასიათის რეაქციას. სტრესი ორგანიზმის არასპეციფიკური (ზოგადი) რეაქციაა მეტისმეტად ძლიერ ფიზიკურ თუ ფსიქოლოგიურ გამღიზიანებელზე. სელიე ამბობდა, რომ სტრესი ის კი არ არის, რაც დაგვემართა, არამედ ის, თუ როგორ აღვიქვამთ ამ ფაქტს. სტრესი არის ის უეცარი მდგომარეობა, რომელიც დაუგეგმავად ხდება ადამიანის ცხოვრებაში – ორგანიზმის რეაქცია გარემოს ექსტრემალური ცვლილებებისადმი. ორგანიზმის საპასუხო რეაქციას სელიე უწოდებს ზოგადადაპტაციურ სინდრომს: სინდრომი ზოგადია იმდენად, რამდენადაც მისი აღძვრა დაკავშირებულია ორგანიზმის ფიზიოლოგიური მდგომარეობის შეცვლასთან. სინდრომი ადაპტაციურია იმიტომ, რომ იგი ხელს უწყობს მავნე გამღიზიანებელთა ეფექტის დაძვევას და გარკვეული დროით ზრდის ორგანიზმის არასპეციფიკურ რეზისტენტობას. სინდრომი უწოდა იმიტომ, რომ აღძრული სიმპტომები ერთმანეთთან მჭიდრო ურთიერთკავშირშია ანუ აღიძვრება სიმპტომოკომპლექსის სახით. ამ დროს აღინიშნება შემდეგი მორფოლოგიური ცვლილებები:

1. თირკმელზედა ჯირკვლის ქერქის ზრდა
2. თიმუს-ლიმფური სისტემის მწვავე ინვოლუცია
3. კუჭ-თორმეტგოჯას სისხლმდენი წყლულების გაჩენა.

გამომწვევი მიზეზის კვალობაზე გამოყოფენ ნერვულ-ფსიქიკურ, სიცხის, სიცვიის, სინათლის, ანთროპოგენურ და სხვა სახის სტრესებს. როგორც არ უნდა იყოს სტრესი: დადებითი თუ უარყოფითი, ემოციური თუ ფიზიკური, - ორგანიზმზე მისი ზემოქმედება ყოველთვის ერთნაირად აირეკლება: განსაკუთრებით ზიანდება იმუნური სისტემა. ამიტომაც არის, რომ სტრესულ მდგომარეობაში ადამიანი ყველაზე იოლად იქცევა ინფექციის მსხვერპლად. ყველა ამ მოვლენას, როგორც უარყოფითს, ასევე დადებითს, ის აქვს საერთო, რომ ადამიანს უხდება შეგუება, ადაპტაცია ახალი სიტუაციისადმი, ვინაიდან ირღვევა ყოველდღიური წონასწორობა.

განასხვავებენ სტრესის დადებით და უარყოფით ფორმებს: დადებით სტრესს სელიემ ეუსტრესი უწოდა, ხოლო უარყოფითს – დისტრესი. ტერმინ ეუსტრესს ორი მნიშვნელობა აქვს:

1. სტრესი, რომელიც გამოწვეულია დადებითი ემოციით;
2. არცთუ ძლიერი სტრესი, რომელიც იწვევს ორგანიზმის მობილიზებას;

დისტრესი ის სტრესია, რომელთან გამკლავებაც ორგანიზმის ძალებს აღემატება. ის ანგრევს ადამიანის მორალურ ჯანმრთელობას და მძიმე სომატური და ფსიქიკური დაავადებების გამოწვევა შეუძლია.

რისკ-ჯგუფები:

- ქალბატონები, რამდენადაც ისინი მამაკაცებზე გაცილებით ემოციურები არიან;
- მოხუცები და ბავშვები;
- დაქვეითებული თვითშეფასების მქონენი;
- ექსტრავერტები;
- ნევროტიკები;
- ადამიანები, რომლებიც ბოროტად იყენებენ ალცოჰოლს;
- პირები, რომლებიც სტრესისადმი გენეტიკურად არიან განწყობილნი...

სტრესის გამომწვევ გამლიზიანებლებს სტრეს-ფაქტორებს ანუ სტრესორებს უწოდებენ (ანუ სტიმულები). მათ მიეკუთვნება: ტრამვა ან კრიზისული სიტუაცია, ახლობლის დაკარგვა, წვრილმანი ყოველდღიური პრობლემები, კონფლიქტები ან ურთიერთობა უსიამოვნო ადამიანებთან, წინააღმდეგობა, რომელიც არ გვაძლევს დასახული მიზნის მიღწევის საშუალებას, მუდმივი წნეხის ქვეშ ყოფნის შეგრძნება, აუსრულებელი ნატვრა ან საკუთარი თავისთვის წაყენებული მეტად მაკაცრი მოთხოვნები, ხმაური, მონოტონური სამუშაო, საკუთარი თავის დადანაშაულება იმაში, რომ რაღაცას ვერ მივაღწიეთ ან შანსი ვერ გამოვიყენეთ, დანაშაულის განცდა იმის გამო, რაშიც, შესაძლოა, ბრალი არც კი მიგვიძლოდეს, დაძაბული სამსახური, ფინანსური სირთულეები, ძლიერ პოზიტიური ემოციები, კამათი განსაკუთრებით ძვირფას ადამიანებთან (სტრესს იწვევს იმის ყურებაც, როგორ კამათობენ ოჯახის წევრები), ერთი ქვეყნიდან მეორეში გადასახლება, ნარკოზი, ჰიპოგლიკემია, ჰიპოქსია, ინფექციის გამომწვევი აგენტები, წყალდიდობა, მიწისძვრა, ხანძარი, ტერორისტული აქტები, ავადმყოფობა, განქორწინება, ბინის გამოცვლა, ახალი სამსახური, ბავშვის დაბადება და ა.შ.

არჩევნ ნეგატიური და პოზიტიური ხასიათის სტრესფაქტორებს. ნეგატიური ხასიათის სტრესოგენულ ცხოვრებისეულ მოვლენას წარმოადგენს, მაგ: ხანდაზმულ ასაკში მეუღლის გარდაცვალება, ხოლო პოზიტიური სტრესოგენული მოვლენაა, მაგ: ნანატრი შვილის გაჩენა. სტრესოგენულ სიტუაციებს აფასებენ სპეციალური ქულათა სისტემით. მაგ: ხანდაზმულ ადამიანებში მეუღლის გარდაცვალება ფასდება მაქსიმალური 100 ქულით, ბავშვის გაჩენა – 39 ქულით, ხოლო უმნიშვნელო მოვლენები – 15 ქულით. ინდივიდებს, რომლებსაც 1 წლის განმავლობაში გადატანილი აქვთ 300 ქულის შესატყვისი სტრესოგენული სიტუაცია, მომდევნო წელს დაავადების მაღალი რისკი აქვთ. DSM-IV-ის მიხედვით სტრესფაქტორები 1-დან (არასტრესული სიტუაცია) 6 ქულამდე ფასდება. ოველი ინდივიდი ხასიეთდება სტრესული სიტუაციებისადმი შეგუების მისთვის დამახასიათებელი ზღურბლითა და მისი თავიდან აცილების შესაძლებლობით.

ტემპერამენტის მიხედვით ჰიპოკრატემ ადამიანთა ოთხი კონსტიტუციური ტიპი გამოყო: სანგვინიკი, მელანქონიკი, ქოლერიკი და ფლეგმატიკი. ეს ოთხი ტიპი სტრესულ სიტუაციებს განსხვავებულად აღიქვამს და მათდამი განსხვავებულ რეაქციებს ავლენს. სანგვინიკები არიან “ტანადი, ახოვანნი, გარეგნულად მშვენიერნი, ვაჟკაცი, თავაზიანნი, ხალისიანი და აღერსიანნი”, მაგრამ მოკლებული არიან ამტანობას და შრომის სიყვარულს. მელანქონიკები სანგვინიკების საპირისპირო ტიპები არიან, ახასიათებთ ნაღვლიანობა, მელანქონია, სევდა, მწუხარება. ქოლერიკები – “ხორციოთ ძლიერნი, ხმელ-ხმელი, კარგად გამონაკეთული ტანით, ენერგიულნი, და მხნენი, ქცევით ამაყნი, ქედმაღალნი, გულცივნი, მეომრული სულის მქონე, ნიჭიერი და ხელოვნების მოყვარული” ადამიანები არიან. ფლეგმატიკები ქოლერიკთა საპირისპირონი არიან – “მოდუნებულნი, ძილისკენ მიდრეკილნი, არაგონებამახვილები, შრომასა და ხელოვნებაში მოუხერხებელნი”. ჰი-

პოკრატე იმასაც აღნიშნავდა (და ეს მოსაზრება დღეს სულ უფრო პოპულარული ხდება), რომ თითოეულ ტიპს სხვადასხვა დაავადებასთან, მათ შორის – ფსიქომოციურ მოშლილობებთან აქვს კავშირი და მათდამი დადებით ან უარყოფით განწყობას ამჟღავნებს. ასე, მაგალითად: სტრესი შედარებით ნაკლებად ერევა სანგვინიკებსა და ქოლერიკებს, შესაბამისად მათთვის უცხოა დეპრესიული მდგომარეობა. იმავეს ვერ ვიტყვით მელანქონიკებსა და ფლემმატიკებზე – სტრესით გამოწვეული დეპრესიითა და სხვა სახის ფსიქომოციური მოშლილობებით დაავადებულთა დიდ ნაწილს სწორედ ასეთი ტემპერამენტის ადამიანები შეადგენენ.

გამოვლენილია კოლერაცია ცხოვრებისეულ სტრესულ სიტუაციებსა და ფსიქოსომატურ, აგრეთვე ემოციურ დარღვევათა განვითარებას შორის. სტრესის მდგომარეობაში ხანგძლივმა ყოფნამ შეიძლება აღძრას ან გაამწვავოს ფსიქოსომატური დარღვევები. ასეთი დარღვევებია, მაგ: წყლულოვანი დაავადება, რევმატული ართრიტი, არითმიები, არტერიული ჰიპერტენზია, შაქრიანი დიაბეტი და ა.შ.

სტრესის დროს ორგანიზმში ვითარდება 3 თანმიმდევრული სტადია:

- განგაშის სტადია.
- ფსიქოსომატური დაავადების სახით გამოვლენილი ადაპტაციის ან რეზისტენტობის სტადია.
- განღევის სტადია.

განგაშის სტადიაში ორგანიზმში აღიძვრება განგაშის რეაქცია. ამ დროს თირკმელზედა ჯირკვლის ქერქიდან იმდენად ჭარბი რაოდენობით გამონთავისუფლდება გლუკოკორტიკოიდები, რომ მათი მარავი თითქმის სრულებით განიღვება. რეზისტენტობის სტადიაში გლუკოკორტიკოიდების შემცველი გრანულების რაოდენობა ჯირკვლის ქერქში იზრდება, ხოლო განღევის სტადიაში ასეთი გრანულების რაოდენობა მკვეთრად კლებულობს და შესაბამისად, მესამე სტადიაში ორგანიზმში გლუკოკორტიკოიდების მწვავე ნაკლებობაა. ამის გამო ფსიქოსომატურ დარღვევათა დაძლევა შეუძლებელი ხდება და ამ ვლინდება:

გულ-სისხლძარღვთა სისტემის მხრივ – ტკივილი მკერდის არეში, გულის რიტმის დარღვევა, ჰიპერტონული დაავადება, მიოკარდიუმის ინფარქტი;

სასუნთქი სისტემის მხრივ – პრობლემები უმთავრესად თავს იჩენს ბრონქული ასთმით დაავადებულებში, ხშირია ცხვირ-ხახის ლორწოვანი გარსის ცვლილებებიც;

საჭმლის მომწელებელი სისტემის მხრივ – გასტრიტის, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადება, ნაწლავური სისხლდენა, ნერვული ფაქტორებით გამოწვეული საჭმლის მოწელების დარღვევები;

კუნთოვანი სისტემის მხრივ – ნერვული ტკივილები კუნთებში (ამ სისტემაში სტრესის შედეგი უმთავრესად მუსკულატურის მომატებული მგრძობელობითა და მტკივნეული დაჭიმვით ვლინდება);

რეპროდუქციული ორგანოების მხრივ – მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ერექციული დისფუნქცია (სქესობრივი აქტის ჩატარების შეუძლებლობა);

შარდ-გამომყოფი ორგანოების მხრივ – შარდის გამოყოფისა და დეფეკაციის მოშლა;

კანის მხრივ – ეგზემა ან ფსორიაზი;

სამივე სტადიის განვითარებას განსაზღვრავს ენდოკრინულ სისტემაში მიმდინარე პროცესები. კერძოდ, სტრესფაქტორების ზემოქმედებისას ლიმბური სისტემიდან ჰიპოთალამუსზე პროეცირებული ქოლინერგული და სეროტონინერგული ნერვული ბოჭკოების აგზნების შედეგად აქტივდება ჰიპოთალამუსის ჰიპოფიზოტროპული ზონის ნეირონები, ამის შედეგად მათი ნერვული დაბოლოებებიდან გათავისუფლდება კორტიკოტროპინ რილიზინგ-ჰორმონი, რომელიც სისხლით მიადწევს ადენოფიპოფიზამდე, სადაც მისი გავლენით გათავისუფლდება ადრენოკორტიკოტროპული ჰორმონი, რომელიც სისხლით მოქმედებს თირკმელზედა ჯირკვლის ქერქზე და გამოათავისუფლებს მინერალოკორტიკოიდებს, გლუკოკორტიკოიდებს (ქერქიდან) და ადრენალინს (თვინოვანი ნივთიერებიდან). მინერალოკორტიკოიდები ხელს უწყობენ ანთებით პროცესებს, აფერხებენ იმუნურ პროცესებს (ლიმფოციტებისა და ეოზინოფილების დამცველობითი ფუნქციის დათრგუნვის გზით) და შესაბამისად, აქვეითებს ორგანიზმის ბრძოლისუნარიანობას. რეზისტენტულ სტადიაში ვლინდება გლუკოკორტიკოიდების ეფექტი. მინერალოკორტიკოიდების

სიჭარბე აფერხებს კუჭის ეპითელურ უჯრედებში ნატრიუმისა და ქლორის იონების რეაბსორბციას, რაც საბოლოოდ იწვევს კუჭში მარილმჯავას რაოდენობის მატებას და შესაბამისად, ხელს უწყობს წყლულოვანი დაავადების განვითარებას. მას ემატება ორგანიზმში კალიუმის იონების შემცირება, რაც აჩქარებს კუნთოვან ქსოვილში პათოლოგიური პროცესების განვითარებას. ეს მონაცემები დიდ ინტერესს იწვევს კუჭის წყლულის პათოგენეზის შეცნობისთვის („სტრესი, როგორც წყლულოვან დაავადებათა განვითარების მიზეზი). გლუკოკორტიკოიდები თრგუნავენ ანთებით პროცესებს, ამის გამო ისინი ზრდიან ორგანიზმის ბრძოლისუნარიანობას. განღვების სტაიაში გლუკოკორტიკოიდების შემცირების შედეგად ვლინდება მინერალოკორტიკოიდების ეფექტი და ორგანიზმის ბრძოლისუნარიანობა მცირდება.

